ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 30 მაისი, 2022 №104 (8882) ფასი: 80 თეთრი

## ვაკეში, არაყიშვილზე, მოპედიდან 2 მამაკაცს 10 ტყვია ესროლეს



გვ.5




## საქართველომ 5 მოსამართლე აშშ-ში ორთვიან კურსებზე არ გაუშვა

# „კობახიძეს რომ შეეძლოს, ამერიკის საელჩოს უჩივლებდა“



გვ.2



ლელა ჯეჯელავა: „ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც სერიოზული კრიზისია“

## „გახარია ცდილობს, იტივტივოს. ამ კაცმა პოლიტიკაში ჯერ ნავიც ვერ იპოვა და ნავიგაცია როგორ უნდა შეძლოს?!“

ლია მუხაშავრია: „ცენტრ „ემპათიის“ ექსპერტებს სრულად ვენდობი, პროფესიონალები და მართლაც დამოუკიდებლები არიან“

გვ.3



## „სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს თუ შეიწყალებს, ეს მას მხოლოდ ღირსებას შემატებს“



## გიგა ბუკია: „სააკაშვილის გარშემო არასერიოზული აურზაური შეიქმნა“

გვ.4

## ირაკლი ღარიბაშვილმა იორდანიის მეფე აბდალა II-ს ოქროს საწმისის ორდენი გადასცა



გვ.2



## „ბოტასის“ ფინანსური პირამიდა ფაქტობრივად ჩამოშლილია“

ოთო აბესაძე: „ასეთი ბიზნესი ყოველთვის გაჭირვებულ ქვეყნებზეა გათვლილი. ამ საქმით გამდიდრებული არ არსებობს“ გვ.3

## ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო გამოხატავს სრულ სოლიდარობას უკრაინისადმი“

გვ.4

1993230720223

5 გოგონას ნარკოტიკი ჩაუყარეს და შიშველს ფოტოები გადაუღეს

3 ვინ არის რუსეთის მიერ ძებნილი დავით მუსელიანი

5 საშინელი ავარია წყალტუბოში — რძალ-მული ადგილზე დაიღუპა

6 უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ რუსეთის ეკლესიისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა

# „კობახიძეს რომ შეეძლოს, ამერიკის საელჩოს უჩივლებდა“

## ლელა ჯეჯელავა: „გახარია ცდილობს, იტივტივოს. ამ კაცმა პოლიტიკაში ჯერ ნავიც ვერ იპოვა და ნავიგაცია როგორ უნდა შეძლოს?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

***— ქალბატონო ლელა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? მოსამართლეებმა უარი განაცხადეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად ამერიკაში წასვლაზე. როგორ ახსენით ყოველივე ეს? სოლიდარობა გამოხატეს კოლეგის მიმართ თუ უთხრეს, რომ არ უნდა წასულიყვნენ?***

— აქ უცნაური არაფერია, აბსოლუტურად შესაბამისია იმ ვითარებისა, რომელიც ჩვენ გვაქვს დღესდღეობით ქვეყანაში. რასაკვირველია, თავისი ნებით მათ უარი არ უთქვამთ ამერიკაში ვიზიტზე. ეს არის შეთანხმებული პოზიცია ხელისუფლებისა და სასამართლოს მმართველი კლანისა. ბუნებრივია, მოსამართლეებს არანაირი შინაგანი ნებელობა არ აღმოაჩნდათ, რომ ამ შეთანხმებული პროცესის წინააღმდეგ წასულიყვნენ. ახლა რას დავარქმევთ ამას, სოლიდარობის აქტს მოსამართლე ჩხიკვაძის მიმართ თუ მორჩილებას მურუსიძის მიმართ, უკვე ჩვენი გადასაწყვეტია. გარდა მაგისა, ამას ჰქონდა პრელუდია, როდესაც კობახიძემ გამოაცხადა, რომ შეერთებული შტატების საელჩოს გადაწყვეტილება მოსამართლე ჩხიკვაძის გადაწყვეტილების გამო, რომელიც მან ნიკა გვარამიას საქმეზე მიიღო, სისხლის სამართლის საქმეა. ალბათ კობახიძეს რომ შეეძლოს, სადმე უჩივლოს საელჩოს, უჩივლებდა. წესით, უნდა იცოდნენ, რომ ასეთ გადაწყვეტილებას საელჩო არ იღებს, რადგან ეს არის სახელმწიფო პროგრამები და ცოტა უფრო მაღალ დონეზე ხდება გადაწყვეტილების მიღება.

***— ბოლო პერიოდში ძალიან ერჩის „ქართული ოცნება“ დასავლელ პარტნიორებს. რატომ, რა ხდება?***

— ესეც სრულიად ნორმალური პროცესია, იმიტომ, რომ მოცემულობა ასეთი, ორ სკამზე ერთდროულად ჯდომის დრო წავიდა. აქამდე მეტნაკლებად ეს კიდევ შესაძლებელი იყო. 24 თებერვლის მერე კი ეს დრო წავიდა. ისინი იძულებულნი არიან, გარემოებათა გამო ძალიან მკაფიოდ დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია. პოზიცია კი არის ის, რომ ერჩიან დასავლეთს და არიან სრულიად მაამებლურ დამოკიდებულებაში რუსეთის მიმართ.

***— არადა, კანდიდატის სტატუსის მოლოდინში ვართ. თითქოს ხელისუფლებასაც აქვს სურვილი, რომ ეს სტატუსი მივიღოთ და ამავდროულად ვისმენთ ლანძღვა-გინებას დასავლელი პარტნიორების მისამართით. რა ხდება?***

— კანდიდატის სტატუსის სურვილი რამდენად აქვთ, ცალკე თემაა. უბრალოდ, ეს ისტორიული პროცესია და იციან, რომ მათ ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული.

***— ანუ იძულებითი ნაბიჯი იყო და ხალხის ნების წინააღმდეგ ვერ წავიდნენ?***

— რასაკვირველია, ასეა. თქვენ გახსოვთ, რომ სწორედ წინა დღეს, სანამ პრემიერ-მინისტრი, მარტოდმარტო, მეფე ლირივით ოთახში დარჩენილი, გამოაცხადებდა თავის გადაწყვეტილებას, რომ განაცხადი შეაქვთ ევროკავშირში გაწევრიანებაზე, მან ძალიან მკაფიოდ დააფიქსირა, ჩვენ ამას გავაკეთებთ 2024-შიო, ანუ არსებობს გარემოებები, რომლებიც მათ სურვილებს აღემატება. ეს სწორედ ის შემთხვევაა. საბედნიეროდ, პროცესები მხოლოდ მათი სურვილის მიხედვით არ იმართება.

***— თანაც ბრიუსელში ვიზიტის წინ დაიჭირა გვარამია. პარალელურად დამაზიანებელ ნაბიჯებსაც დგამენ, რომ იქნებ და არ მოგვანიჭონ სტატუსიო?***

— ცოტა იუმორით რომ შევხედოთ ამ თემას, ყველაფერს აკეთებენ, რომ იქნებ დასავლეთმა გადაიფიქროს ჩვენთვის სტატუსის მონიჭება. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს არის ამჟამინდელი პოლიტიკური კონიუნქტურის შემადგენელი ნაწილი, რომ საქართველო, მოლდოვა და უკრაინა მაქსიმალურად უნდა იქნენ ჩამოშორებული რუსეთის გავლენის სფეროებს და მაქსიმალურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი უსაფრთხოება დღეს არსებული ყველა შესაძლო ბერკეტის გამოყენებით! ამ შემთხვევაში ერთ-ერთი ბერკეტია ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. დასავლეთს თავისი ამოცანების მისაღწევად, რასაკვირველია, სჭირდება, რომ ეს პროცესი განვითარდეს ლოგიკურად. ცხადია ისიც, რომ დასავლეთის პოზიციები ყველაფერში არ არის ერთგვაროვანი და, ბუნებრივია, ზოგისთვის ძალიან პრაგმატული ყოფითი პრობლემები უფრო მაღლა დგას, ვიდრე საერთაშორისო დღის წესრიგის ახალი არქიტექტურა. თუმცა, დიდ იმედს ვიტოვებ, რომ იქ მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება.



**„ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც სერიოზული კრიზისია“**

***— მიუხედავად იმისა, როგორი პრემიერი გვყავს?***

— ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ საუკეთესო პრემიერი ან ოპოზიცია გვყავს ამ მომენტში, მაგრამ არსებობს ხელსაყრელი გარემოებები. საერთაშორისო ორგანიზაციებში იღებენ არა ხელისუფლებებს, არამედ — ქვეყნებს. ამ შემთხვევაში ქვეყნის როლი, ამ კონკრეტულ ახალ პოლიტიკურ კონიუნქტურაში, გაცილებით აღემატება იმას, როგორი ხელისუფლება გვყავს ჩვენ. როდესაც ხელისუფლებას უჭირს აგრესიის შეკავება, ვის მიმართაც არ უნდა იყოს. ეს მხოლოდ სისუსტის გამოვლინებაა და არა სიძლიერის. მათ არა აქვთ საკმარისი არგუმენტები იმისთვის, თუ რატომ უნდა იყვნენ კონტრპოზიციაში ჩვენს პარტნიორებთან. ამიტომ მხოლოდ ამ აგრესიის ფორმით შეუძლიათ ამის გამოხატვა. ეს არის გარკვეულწილად შიშის მაჩვენებელი, ცვლილებების, ახალი რეალობის დადგომის შიშისა, სადაც ისინი საკუთარ თავს ნაკლებად ხედავენ. სულ ეს არის მთელი ფილოსოფია მათი ამგვარი ქცევებისა. რამდენადაც მათ აქვთ შიშები, იმდენად ჩვენი საზოგადოების სალი ნაწილი თავისუფლდება შიშებისაგან. ეს პროცესები ერთდროულად მიმდინარეობს. მე საკმაოდ იმედიანად ვუყურებ მოვლენებს. ხელისუფლების აგრესიული ტონალობა ჩემზე გავლენას ვერ ახდენს. ეს მხოლოდ და მხოლოდ მათი სუსტი პოზიციის გამოვლინებაა.

***— ოპოზიციაზე რას იტყვით?***

— სერიოზულად მწყდება გული. სერიოზული კრიზისია არა მხოლოდ ხელისუფლებაში ინტელექტუალური და რესურსული თვალსაზრისით, არამედ სერიოზული კრიზისია ოპოზიციაშიც. ამიტომ ახლაა დრო საზოგადოების უფრო მეტი აქტიურობისა, კონსოლიდაციისა. ჩვენ ყველანი უნდა გამოვიდეთ კომფორტის ზონიდან და ყველა უნდა ჩავერთოთ ამ პროცესში, რასაც ჰქვია საქართველოს სამშვიდობოს გასვლა. სამშვიდობოს გასვლა კი არის რუსეთის გავლენის სფეროსგან ჩამოშორება ყველა შესაძლო მექანიზმის ამოქმედებით.

***— ოპოზიცია ახსენეთ და ვის ნავში ზის დღეს გიორგი გახარია? განაცხადა, მე ვთვლი, რომ სააკაშვილმა უნდა მოიხადოს სასჯელიო.***

— გახარია ვის ნავში ზის, მართალი გითხრათ, ნაკლებად მაინტერესებს. მე საერთოდ მეჩვენება, რომ არანაირ ნავში არ ზის და ტივტივს ცდილობს. ცდილობს, რომ იტივტივოს რაღაცა ფორმით პოლიტიკურ ზედაპირზე. რაც შეეხება იმას, უნდა მოიხადოს თუ არა სააკაშვილმა სასჯელი, ასეთი დამოკიდებულება შეიძლება ბევრ სხვას ჰქონდეს, მაგრამ გახარია როცა იმას ვერ ხედავს, რომ პრობლემა ის კი არ არის, სააკაშვილი ამწუთას არის თუ არა დამნაშავე, არამედ ის, თუ რომელი სასამართლოს მიერ მისჯილი სასჯელი უნდა მოიხადოს სააკაშვილმა! ჩემთვის აქ არის მთავარი პრობლემა. სასამართლო, რომელიც არის აბსოლუტურად მურუსიძის დაქვემდებარებაში და მოსამართლეს არათუ განაჩენის თავისით გამოტანის, არამედ შეერთებულ შტატებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად წასვლის უფლებაც კი არა აქვს საკუთარი ნების შესაბამისად! თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ რომელიმე მათგანს ორი თვით შეერთებულ შტატებში გასეირნება მაინც არ სდომებოდა?! ეს ხომ წარმოუდგენელია! ამ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი რომ არის პრობლემა და ამას რომ ვერ ხვდება გახარია, ჩემთვის ეგ არის მასთან დაკავშირებით ყველაზე დიდი პრობლემა, იმაზე უფრო მეტი, თუ ვის ნავში ზის ან ზის თუ არა საერთოდ ნავში. ამ კაცმა ჯერ ნავიც ვერ იპოვა და ნავიგაცია როგორ უნდა შეძლოს?! დღეს გახარიას ნავიც კი არა ჰყავს, რომლითაც ნავიგაციას შეძლებს.

## სერგო ჩიხლაძე: „კობახიძე ცნობილია აგრესიული გამონათქვამებით“

კობახიძე ცნობილია თავისი აგრესიული გამონათქვამებით, შეტევებით როგორც პრეზიდენტის, ისე ოპოზიციის მიმართ — დავალება აქვს, რომ ესკალაცია რაც შეიძლება მაღალ დონეზე აიყვანოს.

აღნიშნულის შესახებ ჟურნალისტებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრმა სერგო ჩიხლაძემ განუცხადა, რითაც გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის განცხადებას პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მისამართით.

როგორც ჩიხლაძე განმარტავს, კობახიძის განცხადებები ხელს უშლის ევროკავშირში ინტეგრაციას.

— კობახიძე ცნობილია თავისი აგრესიული გამონათქვამებით, შეტევებით, როგორც პრეზიდენტის, ისე ოპოზიციის მიმართ, ქართულ სახელმწიფოზე მიაქვს შეტევა. რა თქმა უნდა, ეს ხელს არ უწყობს ჩვენს მისწრაფებებს, ევროკავშირში ინტეგრაციას. კობახიძე მოწადინებულია და დავალება აქვს, რომ ესკალაცია რაც შეიძლება მაღალ დონეზე აიყვანოს საქართველოში, — აღნიშნავს ჩიხლაძე.

გარდა ამისა, მან პარლამენტში ინტერპელაციის წესით პრემიერის გამოსვლაც შეაფასა. მან „იაფფასიანი ჭორი“ უწოდა პრემიერის იმ განცხადებას, სადაც აღნიშნავს, რომ ოპოზიციის რამდენიმე წევრი „მიზანმიმართულად მტრობს საქართველოს და არ ემსახურებიან ქვეყნის ინტერესებს“.

— ეს არის მორიგი ჭორაობა. ეს არ არის მტკიცებულება. მეც შემიძლია, ბევრი რამ ვთქვა პრემიერზე, რაც მოვისმინე ევროპასა და ამერიკაში. მტკიცებულებების გარეშე ასეთი იაფფასიანი ჭორაობა მეტყველებს, თუ როგორი იაფფასიანი პრემიერი გვყავს საქართველოში.

ეს არის არასერიოზული. იმის ნაცვლად, რომ გამამთლიანებელი იყოს, ოპოზიციასთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილებები, გამოდის და იაფფასიან ჭორებს ყვება, რომელთაც არავინ დაუჯერებს, — აღნიშნავს ჩიხლაძე.

ცნობისთვის, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე სასამართლოს შესახებ პრეზიდენტის განცხადებას გამოეხმაურა, სადაც სალომე ზურაბიშვილი სასამართლოს სამართლიანობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ სირცხვილია, როცა დღეს ეს მემკვიდრეობა არ გრძელდება.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, „პრეზიდენტი უერთდება უარგუმენტო კამპანიას სასამართლოს წინააღმდეგ, რაც სერიოზული პრობლემაა, ამასთან, სირცხვილი მისი განცხადებაა და პრობლემაა, როცა არ იცი, 26 მაისს რაზე ისაუბრო“.

# ირაკლი ღარიბაშვილმა იორდანიის მეფე აბდალა II-ს ოქროს საწმისის ორდენი გადასცა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს მეფე აბდალა II-ს წმინდა მიწაზე, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ საქართველოსთვის მიწის გადაცემისთვის, მადლიერების ნიშნად, საქართველოს სახელით ოქროს საწმისის ორდენი გადასცა.

ირაკლი ღარიბაშვილი მეფე აბდალა II-ს იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში ვიზიტის ფარგლებში შეხვდა და წმინდა მიწაზე, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ 4000 კვადრატული მეტრი მიწის გადაცემისთვის მადლობა გადაუხადა.

— დიდი მადლობა, თქვენო სამეფო აღმატებულებავ! ჩემთვის დიდი პატივია, პირადად რომ გხვდებით. მადლობა ჩვენი მოწვევისა და მიღებისთვის. საქართველოსთვის მიწის ნაკვეთის გადმოცემის შესახებ თქვენი ძალიან გულუხვი გადაწყვეტილებისთვის მადლობას მოგახსენებთ ჩვენი მთავრობის, ქვეყნისა და ხალხის სახელით. თქვენო სამეფო აღმატებულებავ, გადაჭარბების გარეშე მინდა გითხრათ, რომ ეს არის უდიდესი საჩუქარი და სიხარული მთელი ერისთვის.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ამისთვის. მადლობა! ასევე მინდა ხაზი გავუსვა ჩვენი ურთიერთობის მნიშვნელობას. ნამდვილად კარგი შესაძლებლობა მოგვეცა ჩვენი ორმხრივი ურთიერთობისა და სამომავლო განვითარების განსახილველად. სწორედ ამიტომ ჩამოვედი დელეგაციით, მინისტრებით. ასე რომ, კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას, — მიმართა მთავრობის მეთაურმა მეფე აბდალა II-ს.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ წმინდა მიწაზე საქართველოსთვის გადმოცემულ მიწის ნაკვეთზე ქართული კულტურის ცენტრის მშენებლობა ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის გაღრმავებას და ქართველი და იორდანიელი ხალხის ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ ცნობადობის გაზრდას.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველო და იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო კავშირების გაღრმავების ახალ ეტაპზეა.

შეხვედრაზე მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა მისი აღმატებულება პრინც ღაზის, ასევე იერუსალიმის პატრიარქისა და იორდანიის არქიეპისკოპოსის როლს საქართველოსთვის მიწის გადაცემის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პრემიერმა აღნიშნა, რომ პრინც ღაზის პირადი წვლილი გადამწყვეტი იყო საბოლოო შეთანხმების მიღწევაში და საქართველო ამას ძალიან აფასებს.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, უდიდესი ისტორიული მოვლენაა, რომ საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, 300 წლის შემდეგ საქართველო წმინდა მიწას უბრუნდება. საქართველოს მფლობელობაში არსებულ მიწაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის კურთხევით ქართული კულტურის ცენტრი აშენდება.

შეხვედრისას ხაზი გაესვა საქართველოსა და იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოს შორის არსებულ მაღალი დონის თანამშრომლობას და გამოითქვა არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მზაობა.

საუბარი შეეხო ორ მეზობელ რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოს. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და საკვანძო ქვეყანა, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობასა და უსაფრთხოებას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ახლო აღმოსავლეთის საკითხების პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მეფე აბდალას პირად როლს და არაბულ ქვეყნებთან ისტორიული კავშირების აღდგენის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

მთავრობის მეთაურმა იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს მეფე აბდალა მეორეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და მისთვის ხელსაყრელ დროს საქართველოში მოიწვია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს თუ შეიწყალებს, ეს მას მხოლოდ ღირსებას შემატებს“

## ლია მუხაშავრია: „ცენტრ „ემპათიის“ ექსპერტებს სრულად ვენდობი, პროფესიონალები და მართლაც დამოუკიდებლები არიან“



ნათია ხურცილავა

**ადამიანის უფლებათა დამცველი, იურისტი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ქალბატონო ლია, იუსტიციის მინისტრმა პარლამენტში მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სასჯელისგან გათავისუფლება ან სასჯელის გადავადება სასამართლოს გადასაწყვეტია. ეს პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებაა თუ მართლაც სასამართლო იღებს ამ გადაწყვეტილებას?***

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში და საერთოდ, როდესაც პატიმრის ჯანმრთელობის საკითხი დგება დღის წესრიგში, მაშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, რომელიც, ცხადია, სამინისტროს ექვემდებარება, გარკვეული მოთხოვნით სასამართლოს მიმართავს და შემდეგ უკვე სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას.

***– ანუ ინიციატივას სასჯელაღსრულების დეპარტამენტი იჩენს?***

– დიახ, რა თქმა უნდა! ამდენად, მათ აქვთ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ისინი არიან ამაზე სრულად პასუხისმგებლები. საბოლოო ჯამში, მინისტრთან მიდის ეს საკითხი, მაგრამ, როგორც ჩანს, პასუხისმგებლობისგან თავის დაძვრენის ერთ-ერთი ხერხია. პოლიტიკურ თამაშებს აქვს ადგილი. ახლა ამას ვუყურებთ.

***– უფრო კონკრეტულად, პროცედურულად სამინისტრომ უნდა მიმართოს სასამართლოს?***

– არა, არსებობს კომისიები. სხვადასხვა კომისია მოქმედებს ჩვენს შემთხვევაში. არსებობს ციხის სამედიცინო დეპარტამენტი, ექიმები, რომლებიც დებენ დასკვნებს პატიმრის ჯანმრთელობის შესახებ. თუ ჯანმრთელობა მკვეთრად უარესდება, მერე საქმის კურსში აყენებენ შესაბამის უწყებებს. არავის არ აწყობს პატიმრის გარდაცვალება, ყველა ღმერთმა დაიფაროს ამისგან, მაგრამ ეს უკვე სახელმწიფოს პირდაპირი პასუხისმგებლობაა.

ამდენად, შუამდგომლობას აკეთებენ სასამართლოსთან და მერე უკვე სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ, ხშირად მქონია შემთხვევა, როდესაც პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების ან გადავადების შესახებ მიუღია გადაწყვეტილება სასამართლოს, მაგრამ ექიმებს უთქვამთ, სამი თუ ხუთი დღის სიცოცხლე აქვს ადამიანს დარჩენილიო და ასეც მომხდარა. ეს ყველაფერი ბოლოს უკვე ძალიან ფორმალურ სახეს იღებს. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, გადაწყვეტილება ისეთ დროს იყოს მიღებული, რომ ფატალურად არ დასრულდეს. ამას ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე გეუბნებით.

რაც შეეხება პირის უცხოეთში სამკურნალოდ გადაყვანას, სხვათა შორის, ამის სამართლებრივად გამართული კონკრეტული გაწერილი პროცედურა არ არსებობს. ასევე, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, არ არსებობს პრაქტიკა. ამიტომ ალბათ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესაბამისი ნორმა უნდა ამოქმედდეს. ვერ გეტყვით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში როგორი შეიძლება იყოს პროცედურები, რა ნორმას დაექვემდებარება. უდოს კომისია არსებობს, არსებობს კიდევ სხვა კომისია. თუ ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებას და შემდეგ სასამართლოს მიმართავენ, სასამართლო კონკრეტულ შემთხვევაზე კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებს.

**„მე, როგორც ქალი, როგორც დედა, ქალსა და დედას მივმართავდი, რომ პრეზიდენტმა გამოიყენოს უნიკალური დისკრეცია. გაუთვალისწინებელი რამე თუ მოხდება, მერე ისტორიაში შევა პრეზიდენტი ქალი, რომელმაც პრეზიდენტი არ შეიწყალა“**

***– სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ცენტრ „ემპათიის“ ექსპერტები ჩაერთონ კვლევებში. თუმცა გიული ალასანია აცხადებს, რომ ეს ყველაფერი ძალიან იჭიმება დროში და გვიანდება უცხოეთში გადაყვანა. ამ დროს ვადებს თუ აქვს მნიშვნელობა, თუა გაწერილი?***

– ცენტრ „ემპათიის“ ექსპერტებს კარგად ვიცნობ და მე მათ სრულად ვენდობი. ისინი პროფესიონალები არიან და მართლაც არიან დამოუკიდებლები. რაც შეეხება დედის განცხადებას, ეს სრულიად გასაგებია, რადგან ყველა დედა ღელავს შვილის ჯანმრთელობაზე. თუმცა, რა თქმა უნდა, გონივრულ ვადებში უნდა მოხდეს ყველაფერი.

მე დარწმუნებული ვარ, რომ თვითონ სამინისტრო იქნება დაინტერესებული, არ მოხდეს რაიმე ისეთი, რომელიც მერე ძალიან ძვირად შეიძლება დაუჯდეს. ამიტომ, არა მგონია, „ამდენი“ გარისკონ. თუ კრიტიკული სიტუაცია იქნება, თვითონ გაიქცევიან აღნიშნული შუამდგომლობით სასამართლოში. როგორც ჩანს, ასე კრიტიკულად არ აფასებენ მდგომარეობას. ვფიქრობ, უფრო ფსიქოლოგიური პრობლემა დგას. როგორც ჩანს, ფსიქიკური ჯანმრთელობა აწუხებს. მე ჯერ კიდევ ამერიკაში გავიცანი მიხეილ სააკაშვილი. მას პიროვნულად კარგად ვიცნობ და სრულიად ვხვდები, როგორი სტრესული და მიუღებელი გარემოა მისთვის ციხე. მართალია, ერთეულ შემთხვევაში, მაგრამ ცნობილია, რომ ასეთმა დიდმა, მისთვის დაუძლეველმა სტრესმა შეიძლება სრულიად მოუშალოს ადამიანს ჯანმრთელობა. ასეთი შემთხვევაც პირადად მქონდა. ეს ძალიან არაპროგნოზირებადი მდგომარეობაა. ამითაც არის დედისა და პირადი ექიმის ღელვა გამოწვეული. თუმცა, მე ექიმი არ ვარ და ამ სფეროში ვერ გადავალ.

***– სალომე ზურაბიშვილის პოზიცია ამ საკითხისადმი ცნობილია. თუმცა, რამდენად ელოდებით, რომ პოზიციას შეიცვლის და თავის ხელთ არსებულ ბერკეტს გამოიყენებს?***

– ეს მართლაც უნიკალური ბერკეტია აბსოლუტურად ყველა განზომილებით, ცხადია, ადამიანური, რელიგიური თვალსაზრისით. ქალბატონ პრეზიდენტს ეს ბერკეტი დღეს აქვს. ამიტომ მე არაფერს არ გამოვრიცხავ, მიუხედავად მისი ცნობილი განცხადებისა – არა და არასოდეს! მეჩვენება, რომ ბოლო დროს შერბილდა მისი პოზიცია. მე, როგორც ქალი, როგორც დედა, ქალსა და დედას მივმართავდი, რომ გამოიყენოს მან ეს უნიკალური დისკრეცია, ბერკეტი, რადგან, ღმერთმა დაიფაროს, თუ ცუდი, გაუთვალისწინებელი რამე მოხდება, მერე ისტორიაში შევა პრეზიდენტი ქალი, რომელმაც პრეზიდენტი, მიუხედავად ყველაფრისა, არ შეიწყალა და ვითარება ფატალურად დასრულდა. ამას კი არავის არ ვურჩევდი. ამიტომ, თუ მას უკვე არ აქვს გავლილი მის ნდობით აღჭურვილ სამედიცინო ექსპერტებთან, სპეციალისტებთან სააკაშვილის ყველა დიაგნოზი და მისი შედეგები, ეს უნდა გააკეთოს.

***– პრეზიდენტი საზოგადოების კიდევ უფრო გახლეჩასა და დაპირისპირებაზე აკეთებდა აქცენტს.***

– მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ შეწყალება ისეთი აქტია, რომელიც, როგორც პოლიტიკოსს, როგორც ადამიანს, მას მხოლოდ ღირსებას შემატებს. შეიძლება, პირიქითაც ყოფილიყო და საზოგადოება უფრო დამშვიდებულიყო, რადგან, ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოება ამ ყველაფერზე მაღლა დგას.

# „ბოტასის“ ფინანსური პირამიდა ფაქტობრივად ჩამოშლილია“

## ოთო აბესაძე: „ასეთი ბიზნესი ყოველთვის გაჭირვებულ ქვეყნებზეა გათვლილი. ამ საქმით გამდიდრებული არ არსებობს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ოთო აბესაძე პასუხობს.**

***– ოთო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის ეკონომიკურ პროცესებს? ეროვნულმა ბანკმა შეაჩერა ლარის გამყარების პროცესი. რატომ, რა ხდება?***

– ეს იყო ყველაზე უდროო. ლარმა დაიჭირა გამყარების პოზიცია. ამის ფონზე კი, როდესაც შენ დგები და ბაზრიდან ფულს იღებ, მივიღეთ ის შედეგი, რაც მივიღეთ! ბოლო ოთხ დღეში უკვე 8 თეთრით გაუფასურდა ლარი. ეს ტენდენცია აუცილებლად გაგრძელდება.

***– გაუფასურების?***

– რა თქმა უნდა. უპირობო პირობაა ეს და გარდაუვალი.

***– რით ხსნით ამ გადაწყვეტილებას?***

– ვერ ვხსნი. ეს არის აუხსნელი, არ იხსნება. რაღაც ტერმინი მოვისმინე, რომ ლარის საშიშად გამყარების ტენდენციები შეინიშნება.

***– ჩათვალეს, რომ ლარი ზედმეტად გამყარდა და მეტისმეტი მოუვა?***

– კი, ასე ჩათვალეს. აქ რაღაც უცნაური რაღაცები მოხდა.

***– რაღაც მაქინაციებთან ხომ არ გვაქვს საქმე?***

– კი, ამის რისკი არსებობს. ამაზე ბევრჯერ მილაპარაკია. ასე ხელაღებით და არგუმენტების გარეშე საუბარი ახლა ძნელია და არ შეიძლება, თუმცა არის იმის რისკი, რომ ერთგვარ სავალუტო მანიპულაციასთან გვქონდეს საქმე. ლარმა



გაუფასურება დაიწყო და ეს გაგრძელდება.

***– თითქოს ცოტა ფასების კლება შეიმჩნეოდა საწვავზე, საკვებ პროდუქტებზე და ახლა ეს ტენდენციაც შეჩერდება?***

– დიახ. ფასებმა რომ კლება დაიწყოს, ამისთვის საჭიროა სტაბილური ვალუტის კურსი, რომ სტაბილური კურსით შემოიტანონ პროდუქცია. დღეს დაიწია, ხვალ აიწევა კურსი, რატომ შემოიტანს იმპორტიორი სხვა ფასში? ეს ხომ რისკია. იყო იმის შანსი, რომ ამ ზაფხულს კურსი 2,5 ლარამდე ყოფილიყო, თუმცა ეს არ დაუშვეს და კურსი ხელოვნურად გაუშვეს ზევით.

***– ჭარბი რაოდენობის დოლარი შემოვიდა და ამოვიღეთო.***

– მერედა, რა სჯობია მაგას, ლარი თუ მყარდება?! თუმცა არ გაამყარეს ხელოვნურად. ჭარბი რაოდენობის დოლარი ჩვენი დონის ქვეყანაში არასოდეს შემოვა, იმიტომ, რომ ჩვენ იმდენი დოლარი გვჭირდება, სხვა გზა არც გვაქვს. ამიტომ ეს სიგიჟე ვერ ამოვხსენი.

***– რას ელით?***

– ლარი გაუფასურდება მინიმუმ 10-15 თეთრით და ფასების ზრდის ტენდენცია გაგრძელდება 10%-იანი მატებით. ნებისმიერ შემთხვევაში ასე იქნება.

***– ტურისტების დიდი რაოდენობა შემოვა და ამით დავიჭერთ ლარის კურსსო. ამაზე რას იტყვით?***

– დიდი რაოდენობა არ შემოვა. არის მოლოდინი, რომ პოსტპანდემიური სიტუაციის ფონზე მაღალი რაოდენობა შემოვა. თუმცა, რეალობაში, 2019 წელს მივიღეთ 5,5 მილიონი ტურისტი და ახლა მაქსიმუმ მივიღოთ 2 ან 2,5 მილიონი, მეტი ვერა ფიზიკურად. ხომ არ გვავიწყდება, რომ ომია რეგიონში! შენი მთავარი შემომსვლელები არიან რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი და სომხეთი, სადაც დაძაბული სიტუაცია იყო, ინფლაცია, ომი. ვის რა ეტურისტება? ჩვენთან ევროპელი არ შემოდის. ჩვენთან შემოსული ტურისტის 70%-ზე მეტი იყო რეგიონული და დღეს რეგიონში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. ეს კი, პირიქით, ძალიან ამცირებს ტურისტული ნაკადებისა და ტურისტული ფინანსების გაზრდის შანსებს.

***– აუცილებლად უნდა გკითხოთ პროგრამა „ბოტასის“ შესახებ, რომელიც მთელ მსოფლიოში აიტაცეს.***

– რა მთელი მსოფლიო, არ დაიჯეროთ, არავითარი მთელი მსოფლიო არ არსებობს მანდ! რეიტინგში პირველ ადგილას იყო საქართველო და მეორეზე – ჩინეთი. მთელი მსოფლიო რომ ყოფილიყო, რა უჭირდა. ეს სქემა გათვლილი იყო ღარიბ ქვეყნებზე, გამდიდრების მანიით შეპყრობილი ადამიანებისთვის. ამან თავისი შედეგი უკვე გამოიღო, ხალხმა საკმაოდ დიდი ფინანსური ზიანი ნახა და კიდევ უფრო მეტ ზარალს ნახავენ. მე ამაზე ყველას ვაფრთხილებდი.

***– ჩინეთმა რატომ აკრძალა?***

– იმიტომ, რომ ჩინეთის რესპუბლიკაში, ზოგადად, ფინანსური პირამიდებისა და ელექტრო და კრიპტო ვალუტების მიმართ ნეგატიური განწყობები აქვთ.

***– ფიქრობთ, რომ „ბოტასის“ ფინანსური პირამიდა ჩამოიშლება?***

– უკვე ჩამოიშალა! ბევრს ჰგონია, რომ სიტუაცია გამოსწორდება. აღარ გამოსწორდება. ბევრი ნახავს ფინანსურ ზარალს. ასეთი ბიზნესი ყოველთვის გაჭირვებულ ქვეყნებზეა გათვლილი.

***– გამოდის, რომ კიდევ უფრო მძიმე სურათი გვექნება? ვიცი ადამიანები, რომლებმაც სესხი აიღეს ამ ე.წ. ბოტასის საყიდლად.***

– სწორედ მაგას ვამბობდი, რომ ადამიანს, რომელსაც 30-ლარიანი ბოტასი არ აცვია და 1200-დოლარიანი ბოტასი აქვს ტელეფონში, ე.ი. რაღაც წესრიგში ვერ აქვს, ხომ?! ამ ე.წ. ბოტასზე მიბმული კრიპტოვალუტა კატასტროფულად გაუფასურებულია და კიდევ უფრო გაუფასურდება. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ადამიანები ბიზნესს აკეთებენ იმიტომ, რომ ფული იშოვოს ყველამ, ძალიან ცდება, მით უმეტეს, ეს თუ ფინანსური პირამიდაა, ხომ საერთოდ. ამ საქმით გამდიდრებული არ არსებობს. ასე ჰაერზე ფულს ვინ მოგცემთ!

# ვინ არის რუსეთის მიერ ძებნილი დავით მუსელიანი

ვლადიმერ პუტინის შვილების დედის, ალინა კაბაევას ყოფილ საქმროზე, წარმოშობით ქართველ დავით მუსელიანზე რუსეთის პროკურატურამ ძებნა გამოაცხადა.

ოკუპანტი ქვეყნის საგამოძიებო უწყება პუტინის საყვარელი ქალის ექსსაქმროს მილიონობით რუბლის მითვისებას ედავება. 262 მილიონის სკანდალზე რუსეთში დიდი დაკავებების სერია დაიწყო, რამდენიმე პირი უკვე დააკავეს, მუსელიანი კი თავისუფალია.

„ნოდარ მელაძის შაბათის“ ინფორმაციით, საქართველოსა და რუსეთის ორმაგ მოქალაქე დავით მუსელიანი საქართველოშია. არსებობს ეჭვი, რომ მას შემდეგ, რაც ვლადიმერ პუტინის საგამოძიებო კომიტეტმა რუსეთის პრეზიდენტის არაოფიციალური ცოლის ყოფილ საქმროზე გამოძიება დაიწყო, მუსელიანმა რუსეთი ლარსის გავლით დატოვა და საქართველოში ჩამოვიდა.

ცნობილია, რომ ვიდრე ალინა კაბაევა რუსეთის პრეზიდენტთან რომანს გააბამდა, დავით მუსელიანის საცოლედ ითვლებოდა და ქორწილისთვისაც ემზადებოდა, ამიტომ რუსული პრესა სათაურებში მიანიშნებს, რომ შესაძლოა შვილების დედის ყოფილი საქმრო პუტინის შურისძიების მსხვერპლი გახდა.

რა ვიცით დავით მუსელიანზე? – პოლიციელი ქუთაისიდან რუსეთში საცხოვრებლად 90-იან წლებში წავიდა. მალევე რუსეთის ძალოვან უწყებაში მაღალი თანამდებობა მიიღო. ის მოსკოვის პოლიციის სამმართველოს ერთ-ერთი შეფი გახდა. მედიის ყურადღების ცენტრში 2002-2006 წელს მოექცა, როდესაც ყველამ გაიგო, რომ მისი რჩეული ცნობილი რუსი ტანმოვარჯიშე ალინა კაბაევა გახდა.

პირველ სკანდალში რუსული პოლიციის ქართველი კაპიტანი კაბაევამ გახვია, როდესაც ხმამაღლა თქვა, რომ საქმრომ ლურჯი მერსედესი უყიდა. მაშინ ამ საქმეზე გამოძიება დაიწყო. პროკურატურას აინტერესებდა, საიდან ჰქონდა ფული პოლიციის მაღალჩინოსანს ასეთი ძვირადღირებული საჩუქრისთვის.

ფრანგული გამოცემა „გალა“ წერს, რომ 2007-ში კაბაევა და მუსელიანი ერთმანეთს დაშორდნენ. ქალი პუტინთან წავიდა.

2022 წლის 2 აპრილს კი უკრაინის ყველაზე რეიტინგული ტელევიზიის 1+1-ის ახალი ამბების სამსახურმა გამოაქვეყნა სტატია ალინა კაბაევასა და დავით მუსელიანის შესახებ. წერდნენ, რომ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მეგობარი ქალის რეალური სიყვარული პოლიციის ექსმაღალჩინოსანი დავით მუსელიანი იყო. ერთ თვეში რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა თქვა, რომ მუსელიანს 2018 წლის საქმეში გადაცდომები უპოვეს და საციხო საქმის გამო ბრალდებულად გამოაცხადეს.



ახლა გამოწვევის წინაშე საქართველოს მთავრობა დგას. ცნობილია, რომ მუსელიანს ქართული და რუსული პასპორტი აქვს. ღარიბაშვილის ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, ვლადიმერ პუტინის შვილების დედის ყოფილ მეგობარ მამაკაცს პოლიტიკური დევნილის სტატუსს მისცემს თუ დააკავებს და რუსულ ციხეში გაუშვებს.

# „სააკაშვილის გარშემო არასერიოზული აურზაური შეიქმნა“

## გიგა ბუკია: „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ნაცად ხერხს მიმართავენ“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატ გიგა ბუკიას.



**„ხელისუფლება ყველას არგუმენტირებულად უნდა ელაპარაკოს. როცა დასავლეთის წარმომადგენლებზე ამბობენ, ნაცმოძრაობის ლობისტები არიანო, ეს არგუმენტი არ არის“**

***– საზოგადოების ყურადღება მიპყრობილია ევროპისკენ. ივნისში გაირკვევა, ხდება თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი. თქვენი აზრით, შედეგის მისაღწევად საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იაქტიუროს?***

– საქართველომ ამ მიმართულებით იაქტიურა და ბევრი გააკეთა კიდეც. ამ კუთხით წვლილი შეიტანეს ხელისუფლებებმა, გადამწყვეტი კი ჩვენი ხალხის ნება, მისი ევროკავშირისკენ სწრაფვაა. აქ არ არის ერთი რომელიმე ხელისუფლების გადამწყვეტი დამსახურება. როგორც ვთქვი, გამოიკვეთა ხალხის სურვილი. ამ საკითხებზე პოლიტიკოსების ბოლოდროინდელი ჟივილ-ხივილი, ურთიერთბრალდებები, სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური ქულების დაწერის სურვილი.

***– როგორი ტრადიციულიც არ უნდა იყოს კინკლაობა მმართველ პარტიასა და ოპოზიციას (ძირითადად ნაციონალურ მოძრაობას) შორის, უცნაური არ იყო საპარლამენტო დებატების მოწყობა ევროინტეგრაციის თემაზე? ამაში ხომ ერთიანობა უნდა გამოეჩინათ?***

– სწორედ იმიტომ ვახსენე პოლიტიკური ქულების აღების სურვილი. „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ნაცად ხერხს მიმართავენ. ამოცანები უცვლელია – საკუთარი თავის წარმოჩენა და ორპარტიულობის, პოლარიზაციის განმტკიცება. ამას ემსახურება განცხადებები, ბრალდებები ერთმანეთის მიმართ, დებატები და სხვა. გაგახსენებთ ერთ მოვლენას. როცა წყდებოდა საქართველოსთვის ევროკავშირთან ასოცირების საკითხი, მაშინაც იგივე ხდებოდა. ხელისუფლება და ოპოზიცია ერთი ერთში იმეორებენ იმას, რასაც მაშინ აკეთებდნენ.

***– რამდენად საფუძვლიანი შეიძლება იყოს მმართველი გუნდის განცხადებები, რომ ზოგიერთი ოპოზიციონერი ბრიუსელში იმისთვის დადის, რომ ჩაშალოს კანდიდატის სტატუსის მინიჭება?***

– ეს ის რიტორიკაა, რომელიც ორივე მხარეს – „ქართულ ოცნებასაც“ და ნაცმოძრაობასაც აწყობს და მოსწონს. ოპოზიცია აქტიურია, მაგრამ, არა მგონია, ევროპაში რაღაცას მიაღწიოს. ჩაშლა უნდა თუ არა ვინმეს, არ ვიცი. რიტორიკა ორივეს აწყობს. საერთოდ, ოპოზიციას დიდი პრობლემები აქვს. ეს ოპოზიციამ თავის თავს უნდა დააბრალოს.

***– ზოგიერთი ოპოზიციონერი გაიძახის, რომ მოლდოვასა და უკრაინას ევროპაში ლობისტები ჰყავთ და მათი შანსები ამ პროცესში ჩვენზე მაღალია. არადა, ევროპელი ლიდერების განცხადებები ადასტურებს, რომ მათაც მკაცრად უდგებიან.***

– ვიზალიბერალიზაცია სამივე ქვეყანამ – საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ – თითქმის ერთდროულად მივიღეთ. არ ვიცი, რატომ აცალკევებენ ამ სამეულს და საქართველოს სხვებზე უარესს შედეგს რატომ უწინასწარმეტყველებენ. უკრაინის ომის, შექმნილი გამოწვევების გამო ევროკავშირს აქვს შესაბამისი პოლიტიკა სამივე სახელმწიფოს მიმართ. ალბათ, ევროკავშირი ამ ქვეყნებს არ მიატოვებს. საქართველოში შიდადაპირისპირებაა, მაგრამ შიდაქიშპი ევროკავშირის გეგმებზე გავლენას არ მოახდენს.

***– ოპოზიციის პრობლემები ახსენეთ. რა გაქვთ მხედველობაში?***

– ოპოზიციამ უგუნური, არათანმიმდევრული მოქმედებებით გული აუცრუა თავის მომხრეებს. გარდა ამისა, ქვეყანაში მრავლად არიან წინა რეჟიმისგან დაზარალებული ადამიანები, რომლებსაც აღიზიანებთ ნაცმოძრაობის აქტიურობა. ბოლო ერთი-ორი წლის განმავლობაში ოპოზიციამ გამოიჩინა არათანმიმდევრულობა, უპრინციპობა. ხან არ შედიან პარლამენტში, ხან შედიან, ხან ისევ ბოიკოტზე გადადიან. ხალხის პრობლემები დავიწყებული აქვთ. არადა, პრობლემა უამრავია. მათ ჩამოთვლას ინტერვიუს ფორმატი ვერ აუვა. ოპოზიციამ დაკარგა ხალხის ნდობა.

***– ევროკავშირისკენ მიმავალი გზა გულისხმობს რეფორმებს. სასამართლოს გარდა, ელით თუ არა საარჩევნო რეფორმას, რომელსაც მოჰყვება საარჩევნო 5%-იანი ბარიერის დაწევა?***

– საარჩევნო რეფორმის დიდი ნაწილი გატარებულია. როცა ჩვენ საპარლამენტო უმრავლესობაში შევდიოდით „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, მაშინ ბევრი ცვლილება მივიღეთ. კონსულტაციებს გავდიოდით ევროკავშირის წარმომადგენლებთან. 5%-იანი ბარიერი მისაღებად იქნა მიჩნეული ევროპელი პარტნიორების, უმრავლესობისა და ოპოზიციის მხრიდან. საპარლამენტო რესპუბლიკებისათვის 5%-იანი საარჩევნო ბარიერი სავსებით ნორმალური და მიზანშეწონილია. საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა.

***– ამ ბარიერის პირობებში პარლამენტი შეიძლება ორპარტიული იყოს.***

– ეს ბარიერი პრობლემატურია ბევრი პარტიისათვის. გეთანხმებით, მომავალ პარლამენტში ალბათ სამი პარტია თუ მოხვდება. ბუნებრივია, რომ ამ მდგომარეობაში ჩვენ, შედარებით პატარა პარტიებმა, უნდა ვეძიოთ გამოსავალი და გავერთიანდეთ, გავმსხვილდეთ. არ ვიცი, რა მოხდება 2024 წლამდე. დღეს რომ გაიმართოს საპარლამენტო არჩევნები, არ გამოვრიცხავ, „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობაც მოიპოვოს. ოპოზიციამ ნდობა დაკარგა.

***– ისევ აქტუალურია სააკაშვილის თემა. დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის საფუძველზე გადაწყდება მისი ბედი.***

– ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს ნორმალური პირობები. დიაგნოზის დასმა სპეციალისტების საქმეა. ექსპერტებმა და ექიმებმა უნდა იმუშაონ. საერთოდ, სააკაშვილის გარშემო არასერიოზული აურზაური შეიქმნა. ოპოზიციამ ამ ჭრილშიც შეირცხვინა თავი, სააკაშვილის გათავისუფლების, საზღვარგარეთ გადაყვანის გარდა, არაფერი აინტერესებს. სააკაშვილი პატიმარია და მწვავე შეფასებებს მოვერიდები. ერთს ვიტყვი – თუ პოლიტიკურ ლიდერად თვლი თავს, პოლიტიკურ ლიდერს არ წაადგება ასეთი არასერიოზულობა და სისუსტე. პოლიტიკოსები ციხეში რას არ უძლებენ და იტანენ და ამის გამო არ წუწუნებენ. ეს ყველაფერი, ჯამში, ისეთ არასერიოზულ სახეს იღებს, რომ კომიკური ხდება. სააკაშვილმა თავის დროს უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე. შარშან მისმა საქართველოში შემოპარვამ გამოიწვია ოპოზიციის დასუსტება, არათანმიმდევრულობა. ოპოზიციის მიმართ ნდობა მინიმუმამდე შემცირდა. სააკაშვილის დასაცავად ოპოზიციას ხალხი ვერ გამოჰყავს. ხალხს უამრავი პრობლემა აქვს. ოპოზიციას ამის გამო ხელისუფლება წნეხში უნდა ჰყავდეს. ნაცმოძრაობა კი, როგორც ვთქვი, თავისი დღის წესრიგით ცხოვრობს.

***– ხელისუფლების, მმართველი პარტიის წარმომადგენლები სიტყვიერად უტევენ დასავლეთის მოღვაწეებს. ამაზე რას იტყვით?***

– დასავლეთი, ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობა, ხედავს, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის ურთიერთობების გარკვევა თვითმიზანი გახდა. ისინი კარგავენ ნდობას ქვეყნის შიგნით და გარეთ. ხელისუფლება ყველას არგუმენტირებულად უნდა ელაპარაკოს. როცა დასავლეთის წარმომადგენლებზე ამბობენ, ნაცმოძრაობის ლობისტები არიანო, ეს არგუმენტი არ არის. დასავლეთი ცდილობს, დაიცვას ბალანსი და არ მიემხროს რომელიმე პარტიას, დაიცვას უფლებები, როცა ვინმეს პოლიტიკური ნიშნით დევნიან. დასავლეთი მხარს უჭერს საქართველოს, ქვეყნის მოსახლეობას, რეფორმებს. არჩევანს დასავლეთი არ აკეთებს. ხელისუფლებას ვირჩევთ ჩვენ, საქართველოს ამომრჩევლები.



# ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო გამოხატავს სრულ სოლიდარობას უკრაინისადმი“

– ომის დაწყების პირველივე დღიდან საქართველო გამოხატავს სრულ სოლიდარობას უკრაინისადმი და უკრაინელი ხალხისადმი, რასაც ადასტურებს შესაბამისი პოლიტიკური და დიპლომატიური ნაბიჯები ორმხრივ თუ მრავალმხრივ ფორმატებში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში განაცხადა, სადაც მთავრობის მეთაურს ინტერპელაციის წესით უსმენენ.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველო მტკიცედ უჭერს მხარს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

– მოგესალმებით, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ, პატივცემულო დეპუტატებო. დიდი პატივია ჩემთვის თქვენ წინაშე გამოსვლა. კიდევ ერთხელ გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს, რომლებმაც მომმართეს კითხვით. კითხვა, როგორც უკვე აღინიშნა, შეეხებოდა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, საომარ მოქმედებებს და ამასთან დაკავშირებით სანქციების საკითხს. კითხვა ასე იყო ფორმულირებული – რა სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს მთავრობა იმისთვის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირების თუ სხვა სუბიექტების გამოყენებით არ მოხდეს აღნიშნული სანქციების რეჟიმის დარღვევა რუსეთის ფედერაციისა და მათი წარმომადგენლების მიერ. დიდი მადლობა ამ კითხვისთვის.

პირველ რიგში, მე მინდა, ძალიან მოკლედ კიდევ ერთხელ შევახსენო ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ოპოზიციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა ერთობლივად განახორციელეს.

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია, რა თქმა უნდა, წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და პრინციპების და ასევე, გაეროს ქარტიის უხეშ დარღვევას, რაც აქამდე არნახულ გამოწვევას უქმნის ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურას.

ამ ვითარებაში, ომის დაწყების პირველივე დღიდან, საქართველო გამოხატავს სრულ სოლიდარობას უკრაინისადმი და უკრაინელი ხალხისადმი, რასაც ადასტურებს შესაბამისი პოლიტიკური და დიპლომატიური ნაბიჯები ორმხრივ თუ მრავალმხრივ ფორმატებში. სხვაგვარად რა თქმა უნდა შეუძლებელია, რადგან უკრაინასთან ჩვენ გვაქვს ისტორიული მეგობრობა, ჩვენ ქვეყნებს აქვთ საერთო ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები, – აღნიშნა პრემიერმა.

პრემიერმა დავით უსუფაშვილის პასუხად განაცხადა, რომ მთელი ხელისუფლება მთელი ორი თვის განმავლობაში საუბრობდა იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა უკრაინის მხარდასაჭერად და საქართველო არის 191 ქვეყანას შორის პირველ ადგილზე, რომელმაც ყველაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი გააგზავნა უკრაინაში.

– თქვენ ალბათ არ იცით, მაგრამ შეგახსენებთ, დღეს მსოფლიოში ურთულესი ვითარებაა, მსოფლიო ეკონომიკის რეცესიაა მოსალოდნელი, ინფლაცია ზოგიერთ ქვეყანაში 20%-ს გადასცდა, მაგალითად, მოლდოვაში 27%-იანი ინფლაცია აქვთ, აღარ მაქვს საუბარი ეკონომიკურ ზრდაზე და ამ პირობებში ჩვენ ვინარჩუნებთ ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ეკონომიკურ ზრდას, – აღნიშნა პრემიერმა.

# „არცერთი მოსამართლე არ იმსახურებს არც ერთ ცენტს“

## გიგა ბოკერიას განცხადება



– ვთვლი, რომ არც ერთი მოსამართლე არ იმსახურებს არც ერთ ცენტს, რომ მათზე დაიხარჯოს. თუმცა ჩვენი ქვეყნის დახმარება შეერთებული შტატების კეთილი ნებაა.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ლიდერმა გიგა ბოკერიამ განაცხადა.

მისი განმარტებით, საქართველოს ჰყავს რეჟიმი, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაშია მთლიანად თავისუფალ სამყაროსთან.

– აქ აღსანიშნავი დეტალია ისიც, რომ კობახიძემ ეს საპარლამენტო სხდომაზე დააანონსა, რომ ეს უნდა მომხდარიყო და ეს ხდებოდა. მთავარია, სადამდე მივიდა საქმე – დღეს საქართველოს ჰყავს რეჟიმი, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაშია მთლიანად თავისუფალ სამყაროსთან, სადაც ჩვენ გვინდა დაბრუნება, თან რაზე უცხადებს პროტესტს, რომ ამერიკელი გადასახადის გადამხდელების ფული არ დაიხარჯოს ქვეყნის განვითარებაზე ანუ მათ წვრთნაზე.

მე კი ვთვლი, რომ არც ერთი მოსამართლე არ იმსახურებს არც ერთ ცენტს, რომ მათზე დაიხარჯოს, თუმცა შეერთებული შტატების კეთილი ნებაა ჩვენი ქვეყანას დახმარება.

მივედით ლოგიკურ ზღვრამდე, საიდანაც იწყება დაპირისპირება თავისუფალ სამყაროსთან. ვერ წარმომიდგენია ნორმალური ადამიანი, რომლისთვისაც ეს ყველაფერი კატასტროფა არ არის, რომ საქართველო აქამდე მივიდა და დაპირისპირებაშია დემოკრატიულ სამყაროსთან, რომელიც გვჭირდება ჩვენი მომავლის, კეთილდღეობისა და მომავლის დასაცავად, – განაცხადა ბოკერიამ.

შეგახსენებთ, რომ „მთავარი არხის“ ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც ნიკა გვარამიას საქმის მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე აშშ-ის საელჩომ პროგრამიდან მოხსნა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ტრენინგზე არც სხვა მოსამართლეები გაეშვა.

მათივე ინფორმაციით, ხათუნა ხარჩილავა, მაია ქოქიაშვილი, ნინო ნაჭყებია, გიზო უბილავა და რომეო ტყეშელაშვილი 2-თვიან ტრენინგზე შტატებში უნდა გამგზავრებულიყვნენ, თუმცა გაირკვა, რომ ქართული მხარე საერთაშორისო პროგრამაში მონაწილეობას აღარ მიიღებს.

# მიხეილ სარჯველაძე: „წარმოუდგენელია, ნაცმოძრაობამ თავს პატიმრის უფლებებზე საუბრის უფლება მისცეს“




სარკასტულად გამოიყურება ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ინტერპელაციის მიზნით იუსტიციის მინისტრის მოწვევა სასაუბრო თემაზე – „პატიმრის უფლებები“. წარმოუდგენელი ამბავია, საუბრის უფლება მისცენ თავს და ვინმეს კითხვა დაუსვან.

ამის შესახებ ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძემ საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, სადაც ინტერპელაციის წესით იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძეს უსმენდნენ.

მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობისთვის საინტერესოა არა პატიმართა უფლებები, არამედ ერთი კონკრეტული პატიმარი და „მთელი მოღვაწეობა აქვთ გაჩაღებული საიმისოდ, რომ ამ პატიმარს პრივილეგიები მიანიჭონ“.

– მართლაც ნიშანდობლივია ყველაფერი, რაც ხდება. მგონი, დიდი შეცდომა დაუშვა ნაციონალურმა მოძრაობამ ინტერპელაციის საკითხის შერჩევისას. სარკასტულად გამოიყურება ინტერპელაციის მიზნით იუსტიციის მინისტრის მოწვევა სასაუბრო თემაზე – პატიმრის უფლებები. წარმოუდგენელი ამბავია, საუბრის უფლება მისცეს თავს ნაციონალურმა მოძრაობამ პატიმრის უფლებებზე და ვინმეს კითხვა დაუსვას, რბილად რომ ვთქვათ, ეს ცოტა გამბედაობას მოითხოვს.

აქვს უფლება ერთ მხარეს, მოიტყუოს, თითქოს ადგილი აქვს ყოფილი პრეზიდენტის წამებას და შემდეგ ამაზე თავის მართლების ან არგუმენტირების უფლება წაართვას სხვას.

საბოლოო ჯამში, ვერ ვისმენთ ვერც ერთ ახსნას, რომელი კონკრეტული მკურნალობის მეთოდია საჭირო ან რეკომენდებული, რომელიც უნდა ჩატარდეს და ამის შესაძლებლობა არ არსებობს საქართველოში.

თუ ასეთი რამ შეიძლება არსებობდეს, კონკრეტულად ვთქვათ ამის თაობაზე, სხვა ყველაფერი ემსგავსება სპეკულაციებს. ნამდვილად არ არის საქმე ისე, რომ შესადარებლად გამოგვადგეს ნაციონალური მოძრაობის სტანდარტები, მით უმეტეს, როდესაც საუბარია პენიტენციარულ სისტემასა და პატიმართა უფლებებზე. მაგრამ, რომ არ ვისაუბროთ ამაზე, გაუგებარი იქნება, საიდან დავიწყეთ და სადამდე მოვედით, საქართველოს რეფორმები პენიტენციარულ სისტემაში სამაგალითოა, – აღნიშნა მიხეილ სარჯველაძემ.

# ვაკეში, არაყიშვილზე, მოპედიდან 2 მამაკაცს 10 ტყვია ესროლეს

სროლა ვაკეში – 27 მაისს არაყიშვილის ქუჩაზე 2 მამაკაცი დაჭრეს.

„კურიერის“ ინფორმაციით, ქუჩაზე გაიარა მოპედმა, საიდანაც ორ 25 წლამდე მამაკაცს დაახლოებით 10 ტყვია ესროლეს. ისინი ფეხის არეში დაიჭრნენ. დაჭრილები სასწრაფო სამედიცინო ბრიგადამ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სროლის ხმა მაშინ გაისმა, როცა მანქანა შუქნიშანზე იყო გაჩერებული.

შემთხვევის ადგილას ექსპერტ-კრიმინალისტები და სამართალდამცველები მუშაობდნენ.

დაჭრილი ერთ-ერთი მამაკაცი ბინაზე გაწერეს, მეორე კი სტაციონარში იმყოფება და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

როგორც ექიმი ირაკლი მესხიშვილი განმარტავს, დაშავებულებს ჭრილობები ქვემო კიდურის არესა და წვივის მიდამოში აღენიშნებოდათ.

– შემოყვანილი იყო 2 მამაკაცი, რომ-



ლებსაც ჭრილობები აღენიშნებოდათ. ერთს მრავლობითი ჭრილობა ჰქონდა ქვემო კიდურის არეში, მეორეს – წვივის ზემო მესამედში.

ერთ-ერთს გადაუდებელ განყოფილებაში გაეწია პირველადი დახმარება, შემდგომ საოპერაციო ბლოკში ჩაუტარდა რევიზია და პალატაშია გადაყვანილი. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. მეორე მამაკაცს მიმღებში დაუმუშავდა ჭრილობა, სტაციონარული მკურნალობა არ სჭირდებოდა და ბინაზე გაეწერა, – აღნიშნა ირაკლი მესხიშვილმა.

# პოლონეთში მოკლული ქალი ზუგდიდელი ანი ყალიჩავაა, ქმარი – თემო ლამაზოღლი

პოლონეთში ქმრის მიერ მოკლული ქალი 27 წლის ანა ყალიჩავაა. ირკვევა, რომ მას თემო ლამაზოღლიმ ყელი გამოსჭრა და კვალის დაფარვის მიზნით სახლს ცეცხლი წაუკიდა.

ქალი მანამდე შველას საქართველოდან ითხოვდა, თუმცა დახმარება, სამწუხაროდ, ვერავინ აღმოუჩინა.

ახალგაზრდა ქალი ზუგდიდიდან იყო და ემიგრაციაში მეუღლესთან და 3 მცირეწლოვან შვილთან ერთად ერთი წლის წინ წავიდა.

„პირველების“ ინფორმაციით, ქალი პოლონეთიდან საქართველოში 11 ივნისს უნდა გამოფრენილიყო, ჰქონდა შესაბამისი ბილეთები, თუმცა მას შემდეგ რაც ქმარმა მისი გეგმები გაიგო, თავდაპირველად მცირეწლოვანი შვილები შემთხვევის ადგილიდან წაიყვანა, მამამისს ჩააბარა, უკან დაბრუნდა და ცოლს სასტიკად გაუსწორდა.

რაც შეეხება თავად თემო ლამაზოღლის, ის რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. კაცმა საზარელი დანაშაულის შემდეგ თვითდაზიანებები მიიყენა.

ყალიჩავა მკვლელობამდე ოჯახს ეუბნებოდა, რომ სასტიკი ძალადობის მსხვერპლი იყო და შველას ითხოვდა. გამოიძახა პოლონეთის პოლიცია, კაცს შემაკავებელი შემაკავებელი ორდერიც გამოუწერეს.

მოკლულის ოჯახი ცხედრის გადმოსვენებაში დახმარებასა და ასევე ანა ყალიჩავას მცირეწლოვან შვილებზე მეურვეობის მინიჭებას ითხოვს.

# საქართველოს 5 მოსამართლე აშშ-ში ორთვიან კურსებზე არ გაუშვა

„ქართული ოცნებისა“ და სასამართლოში არსებული „კლანის“ გადაწყვეტილებით, 6 მოსამართლე აშშ-ში კვალიფიკაციას ველარ აიმაღლებს.

მას შემდეგ, რაც „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას საქმის მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე აშშ-ის საელჩომ პროგრამიდან მოხსნა, ხელისუფლებამ გადაწ-




ყვიტა, რომ ტრენინგზე არც სხვა მოსამართლეები გაეშვა.

ხათუნა ხარჩილავა, მაია ქოქიაშვილი, ნინო ნაჭყებია, გიზო უბილავა და რომეო ტყეშელაშვილი 2-თვიან ტრენინგზე შტატებში 28 მაისს უნდა გამგზავრებულიყვნენ, თუმცა გაირკვა, რომ ქართული მხარე საერთაშორისო პროგრამაში მონაწილეობას აღარ მიიღებს.

რაც შეეხება ლაშა ჩხიკვაძეს, ისევ კვლავ არ პასუხობს კითხვას, მიიღო თუ არა ოფიციალური განმარტება აშშ-ის მხრიდან კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგებიდან მის მოხსნასთან დაკავშირებით:

– არ ვარ საქმის კურსში. არ იყო ჩემთან კომუნიკაცია. ვერ გავაკეთებ კომენტარს, – ამბობს ჩხიკვაძე.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, ფლორიდაში 2-თვიან კურსს გაივლიან ქართველი ადვოკატები. ისინი შტატებში უკვე გაემგზავრნენ.

# ფოთის ქარხანაში აფეთქება მოხდა

ფოთში ერთ-ერთ მეტალურგიულ ქარხანაში 27 მაისს აფეთქება მოხდა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ახლოს მდებარე საცხოვრებელ კორპუსში კედლები დააზიანა.

კორპუსში 18 ოჯახი ცხოვრობს. ისინი წლებია ამბობენ, რომ ცხოვრება გაუსაძლის პირობებში უწევთ.

მათი თქმით, მსგავსი შემთხვევები ხშირია, რაც ისედაც ავარიულ კორპუსს დამატებით საფრთხეს უქმნის. გარდა ამისა, მოსახლეობის თქმით, ქარხნიდან გავრცელებული გამონაბოლქვი მათ ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემას უქმნის. მათივე თქმით, აქვთ სამედიცინო დასკვნები იმის თაობაზე, რომ აქ მცხოვრები ბავშვების ორგანიზმში რკინის მაღალი შემცველობა ფიქსირდება.

მეტალურგიული ქარხნის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ უსაფრთხოების ნორმები მაქსიმალურად დაცულია და აფეთქების შედეგად დაშავებულები არ არიან.

მეტალურგიული ქარხნის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა პრობლემის მოგვარების მიზნით პერმანენტულ აქციებს ატარებს.

# ზესტაფონში 2 ადამიანი დაიღუპა

## ტრაილერი ევაკუატორს დაეჯახა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 28 მაისს ავტოსაგზაო შემთხვევას 26 და 42 წლის მამაკაცები ემსხვერპლნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, ერთმანეთს ტრაილერი და ევაკუატორი შეეჯახნენ, რის შედეგადაც ერთი ადამიანი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მეორე სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ველარ შეძლეს.

# რუსთავში ერთმანეთს 3 მანქანა შეეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა რუსთავში.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ერთმანეთს „ბეემვეს“, „მერსედესისა“ და „ლექსუსის“ მარკის ავტომობილები შეეჯახა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი.

ავარიის შედეგად არავინ დაშავებულა.

თვითმხილველების ინფორმაციით, ავარიის გამომწვევი მიზეზი გზაზე არსებული ორმოა. მძღოლმა საჭე ორმოს ააცილა, რის შემდეგაც ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

# ლევან ხაბეიშვილმა ინფრასტრუქტურის მინისტრის წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელი შეიტანა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლევან ხაბეიშვილმა ინფრასტრუქტურის მინისტრ ირაკლი ქარსელაძის წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელი შეიტანა.

როგორც ხაბეიშვილმა აღნიშნა, 2016 წელს, როდესაც ამჟამინდელი მინისტრი ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი კომპანიის დირექტორი იყო, ამ კომპანიამ სახელმწიფოსგან მიწის ნაკვეთი იყიდა იმ პირობით, რომ იქ 10-მილიონიან ინვესტიციას განახორციელებდა, თუმცა ეს თანხა მოზიდული ამ დრომდე არ არის.

ენმ-ის წევრის თქმით, ამ ქმედებებით ქარსელაძის ხელმძღვანელობით მოქმედმა კომპანიამ ბიუჯეტი, სავარაუდოდ, მილიონ 300 ათასი ლარით აზარალა.

– კონკრეტული დოკუმენტაცია გვაქვს წარმოდგენილი, სადაც ბიძინა ივანიშვილის კომპანიის დირექტორი გახლდათ დღევანდელი მინისტრი 2016 წელს. მათ სახელმწიფოსგან ფაქტობრივად ჩალის ფასად იყიდეს მიწის ნაკვეთი, საუბარია განმუხურში 39 ათას კვ მეტრს მიწის ნაკვეთზე და იაფი გადაიხადეს



იმიტომ, რომ თითქოს იქ 10-მილიონიან ინვესტიციას განახორციელებდნენ და ააშენებდნენ სასტუმროს.

სახელმწიფოსგან ამ პირობებით იყიდეს, მაგრამ იქ 10 მილიონი ლარის კი არა, 10 თეთრის ინვესტიცია არ განუხორციელებიათ. არაფერი მსგავსი არ ხდება, რაც დაწერეს დოკუმენტაციაში და, სავარაუდოდ, ამ კანონდარღვევით მილიონ 300 ათასი ლარით აზარალეს სახელმწიფო, ანუ მოქალაქეების ქონება ფაქტობრივად დაიტაცეს და დღემდე საჯარო რეესტრში მათ ბალანსზე ირიცხება, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი ვალდებულება შესრულებული არ აქვთ. ყველა ვადა არის დარღვეული.

ამიტომ ეს ადამიანი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის კომპანიის დირექტორი იყო, არათუ მინისტრი უნდა იყოს, არამედ უნდა იყოს ციხეში, რადგან მისი ხელშეკრულებით, მისი ხელმოწერით, როცა ის იყო დირექტორი, იმ კომპანიამ ხალხი, სახელმწიფო აზარალა, სავარაუდოდ, მილიონ 300 ათასი ლარით. ახლა პროკურატურაში იმიტომ კი არ შემაქვს სარჩელი, რომ ამათი იმედი მაქვს. ეს დოკუმენტაცია უნდა იდოს თაროზე და ამ ადამიანებს აუცილებლად მოუწევთ პასუხისგება, – თქვა ლევან ხაბეიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 17 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა, თუმცა პროექტები, რომელთა განხორციელებასაც „ქართული ოცნება“ მოსახლეობას დაჰპირდა, ამ დრომდე დასრულებული არ არის.

# გარდაბანში მკვლელობისთვის ი.კ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1995 წელს დაბადებული ი.კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 26 მაისს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ბრალდებული ი.კ. და მისი თანასოფლელი, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი, 1992 წელს დაბადებული რ.მ. ერთმანეთს სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, რა დროსაც რ.მ.-მ თან ნაქონი დანით ი.კ.-ს სხეულზე ჭრილობა მიაყენა. ამის შემდგომ ი.კ.-მ შურისძიების მოტივით კუთვნილი ავტომანქანიდან დანა ამოიღო, რ.მ. მუცლის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი რ.მ. საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად პოლიციამ ი.კ. მომხდარიდან მეორე დღეს დააკავა.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# გოგონას ნარკოტიკი ჩაუყარეს და შიშველს ფოტოები გადაუღეს

სავარაუდო ძალადობისა და პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით შანტაჟის უმძიმესი ფაქტი შიდა ქართლში – ერთ-ერთი საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეები თანატოლი გოგოს მიმართ ჩადენილი შესაძლო მძიმე დანაშაულისთვის ბრალის წარდგენის მოლოდინში არიან.

შემთხვევას, რომელიც რამდენიმე დღის წინ მოხდა, მთელი საგანმანათლებლო სისტემა და ძალოვანი უწყება მალავდა.

არაოფიციალური ინფორმაციით, მე-9 კლასის მოსწავლეს რამდენიმე ბიჭმა გაზიან სასმელში მედიკამენტები ჩაუყარა, რის შემდეგაც გოგონამ გონება დაკარგა, ამის შემდეგ კი ის გააშიშვლეს და ფოტოები გადაუღეს, რომლებიც შემდგომში დააშანტაჟეს, რომ გაუვრცელებდნენ:

– ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეს, მეცხრე კლასელ გოგონას, სავარაუდოდ, თანატოლმა ბიჭმა მიუტანა სასმელი, გაზიანი, ჩაუყრიათ წამალი, დააძინეს ეს ბავშვი, წაუყვანიათ მივარდნილ ადგილას და ძალა უხმარიათ. გოგოს არაფერი არ ახსოვს, რამდენიმე ბიჭზე ამბობენ, გოგოს თავის მოკვლაც უცდია და ბიჭები დამუქრებიან, არსად არ ეთქვა ეს ფაქტი, – ამბობს „მთავარ არხთან“ ანონიმური წყარო.

ჰქონდა თუ არა ადგილი სექსუალურ ძალადობას, ეს ექსპერტიზის პასუხით გახდება ცნობილი. „მთავარი არხის“ ინფორმაციით, ექსპერტიზა მოზარდს უკვე ჩაუტარდა და ახლა პასუხს ელოდებიან.

მომხდარზე სკოლა და რესურსცენტრი დუმან, საგამოძიებო სამსახური კი მომხდარს პირადი ცხოვრების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შენახვა-გავრცელების მუხლით სწავლობს.

# ავარიას მარნეულში 2 ადამიანი ემსხვერპლა

მარნეულის მუნიციპალიტეტში მომხდარმა ავტოავარიამ ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

შემთხვევა 26 მაისს მოხდა.

არსებული ინფორმაციით, ავტომობილი ჯერ არასრულწლოვანს დაეჯახა, შემდეგ კი – კედელს, რის შედეგადაც ავტომობილის მძღოლი და არასრულწლოვანი დაიღუპნენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდარის შესახებ გამოძიება დაწყებულია.

# საშინელი ავარია წყალტუბოში

## რძალ-მული ადგილზე დაიღუპა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ავტოსაგზაო შემთხვევას ორი ადამიანი ემსხვერპლა, ორი ბავშვი კი დაშავდა.

შემთხვევა სოფელ მაღლაკში მოხდა. გარდაცვლილები რძალ-მული არიან. ისინი ადგილზე დაიღუპნენ.

დაშავდნენ ავტომობილში მყოფი ბავშვები, რომლებიც კლინიკაში არიან გადაყვანილი. მათგან ერთის მდგომარეობა მსუბუქია, მეორეს კი ფეხზე ოპერაცია ჩაუტარდა.

გარდაცვლილები არიან მედეა იობიძე და ანა მჭედლიშვილი, რომლებიც სოფელ მაღლაკში ცხოვრობდნენ. თვითმხილველების თქმით, ავტომობილი ელექტროგადამცემ ბოძს შეეჯახა. სავარაუდოდ, ავტომობილი მაღალი სიჩქარით მოძრაობდა. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

„არ ვიცი, რა ვთქვა, რა დავწერო, თქვენ ხომ აწი უნდა გეხარათ თქვენს ლამაზ ოჯახთან და შვილებთან ერთად ორივე რძალ-მულს 24 და 27 წელი – ეს ხომ არაფერი არაა. ყველა სიტყვა უძლურია, რაც მინდა ვთქვა, ისე მენანებით და ისე მტკივა გული დილიდან. უფალმა გააძლიეროს თქვენი ოჯახები, ჩემო ლამაზო გოგოებო – ანი მჭედლიშვილი, მედეა იობიძე“, – წერს ახლობელი.

# უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ რუსეთის ეკლესიისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა



რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კრება არ დაეთანხმა უკრაინაში საომარი მოქმედებების შესახებ მოსკოვისა და რუსეთის პატრიარქ კირილეს პოზიციას და მიიღო ცვლილებები უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წესდებაში, რაც ნიშნავს მის სრულ დამოუკიდებლობას მოსკოვის საპატრიარქოსგან.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას გამოცემა „დოიჩე ველე" უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საბჭოს განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

„ჩვენ ომთან დაკავშირებით მოსკოვის პატრიარქ კირილეს პოზიციას არ ვეთანხმებით.

საბჭო გმობს ომს, როგორც ღვთის მცნების დარღვევას – „არა კაც კლა!" და თანაგრძნობას უცხადებს ყველას, ვინც ომში დაზარალდა.

კრება უკრაინის ხელისუფლებასა და რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას მიმართავს თხოვნით, გააგრძელონ მოლაპარაკებების პროცესი და მტკიცე, გონივრული სიტყვის ძიება, რომელიც შეძლებს, შეაჩეროს სისხლისღვრა", – ნათქვამია საბჭოს სხდომის შემდეგ ეკლესიის განცხადებაში.

# თურქეთთან მოლაპარაკებები შვედეთისა და ფინეთის შესახებ პროგრესის გარეშე შეწყდა

მოლაპარაკებები, რომლებიც მიმართულია თურქეთის წინააღმდეგობის დასაძლევად ნატოში შვედეთისა და ფინეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით, პროგრესის მიღწევის გარეშე შეწყდა.

ამის შესახებ ბიბისი იუწყება.

მედიასაშუალების მიხედვით, თურქმა მაღალი რანგის თანამდებობის პირმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებებში ქვეყნებს შორის წინსვლა არ არის და ეს გახლავთ იოლი პროცესი.

მისივე თქმით, მოლაპარაკებები გაგრძელდება, მაგრამ მომდევნო შეხვედრის თარიღი არ დასახელებულა.

ცნობისთვის, ნატოს 30-ვე წევრმა მხარი უნდა დაუჭიროს ორივე ქვეყნის ნატოში გაწევრიანებას. თურქეთმა კი ამასთან დაკავშირებით უარი განაცხადა, რადგან ორივე ქვეყანა „ქურთისტანის მუშათა პარტიის" მფარველობაში დაადანაშაულა, რასაც შვედეთი და ფინეთი უარყოფენ.

# ბაიდენი: „პუტინი უკრაინელი ხალხის იდენტობის განადგურებას ცდილობს"

– ის არა მხოლოდ უკრაინის დაპყრობას ცდილობს, არამედ ნამდვილად ცდილობს, გაანადგუროს უკრაინელი ხალხის კულტურა და იდენტობა.

ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ვლადიმერ პუტინზე საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, პუტინის ქმედებების მიზანია, აღმოფხვრას უკრაინელი ერის კულტურა და თავს დაესხას წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს.

– ის თავს ესხმის სკოლებს, ბაღებს, საავადმყოფოებსა და მუზეუმებს. ამ ქმედებებს არავითარი სხვა მიზანი არ აქვს, გარდა კულტურის აღმოფხვრისა და წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის ფუნდამენტურ პრინციპებზე პირდაპირი თავდასხმისა, – აღნიშნა ბაიდენმა.

ამასთან, აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, პუტინის ქმედებებმა, იმის ნაცვლად, რომ ევროპა ნეიტრალური გაეხადა და მისი „ფინეთიზაცია" მოეხდინა, მთელი ევროპა გააერთიანა და მისი „ნატოიზაცია" განახორციელა.



# მარიუპოლში, სკოლის ტერიტორიაზე, ჭურვის აფეთქებისას 12 წლის ბიჭუნა დაიღუპა

მარიუპოლში 12 წლის ბიჭი სკოლის ტერიტორიაზე ჭურვის აფეთქების შედეგად დაიღუპა.

ამის შესახებ ტელეგრამში მარიუპოლის მერის მრჩეველმა პეტრ ანდრიუშჩენკომ განაცხადა.

– რუსული ჭურვები აგრძელებენ მარიუპოლის ბავშვების ხოცვას აქტიური საომარი მოქმედებების შემდეგაც. ფრთხილად იყავით, ყოველდღე უთხარით ბავშვებს, რომ არ შეეხონ საეჭვო ობიექტებს, განსაკუთრებით მათ, რომლებიც ჰგავს ჭურვებს, რაკეტებსა და სხვა იარაღს, – თქვა მან.

# მოსკოვმა ხუთი ხორვატიელი დიპლომატი ქვეყნიდან გააძევა

რუსეთმა ხორვატიის საელჩოს ხუთი დიპლომატი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა.

ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული.

„ზაგრების არამეგობრული ნაბიჯების საპასუხოდ, შეემცირებინა რუსეთის საელჩოს დიპლომატიური პერსონალი, ხორვატიის ელჩ ტომისლავ ცარს გადაეცა ნოტა ხორვატიის საელჩოს ხუთი დიპლომატის პერსონა ნონ გრატად გამოცხადების შესახებ", – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განმარტებით, ხორვატიის ელჩს გადაეცა საპროტესტო ნოტა მისი ქვეყნის ხელისუფლების „უსაფუძვლო ძალისხმევის გამო, რომლის მიზანი უკრაინაში ომის დანაშაულებზე პასუხისმგებლობის რუსეთისთვის დაკისრება იყო".



# ბრაზილიაში წყალდიდობას 35 ადამიანი შეეწირა

ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთში წყალდიდობას, სულ მცირე, 35 ადამიანი ემსხვერპლა.

ამის შესახებ ინფორმაციას როიტერი ავრცელებს.

წყალდიდობა პარასკევსა და შაბათს ძლიერმა წვიმამ გამოიწვია.

როგორც მედია წერს, ეს რეგიონში ბოლო ხუთი თვის განმავლობაში მეოთხე დიდი წყალდიდობაა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## კალეიდოსკოპი

# მამაკაცი მეექვსე სართულზე აცოცდა და ბავშვი გადაარჩინა



ჩინეთის შანსის პროვინციის ქალაქ შოჩჟოუში მამაკაცი სახლის მეექვსე სართულის კედელზე აცოცდა და ფანჯრიდან გადმოკიდებული ხუთი წლის გოგონა გადაარჩინა.

ადგილობრივებს ბავშვის ტირილის ხმა შემოესმათ და შენიშნეს, რომ ხუთი წლის გოგონა მეექვსე სართული ფანჯრის რკინის ცხაურზე იყო ჩამოკიდებული. ის შესაძლოა ნებისმიერ მომენტში ჩამოვარდნილიყო. ამიტომ მამაკაცი დაუყოვნებლივ აძვრა სახლის კედელზე.

თვითმხილველის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ მიცოცავს ყოველგვარი დაზღვევის გარეშე მამაკაცი სახლის კედელზე. მეექვსე სართულამდე მიღწევის შემდეგ ის ცალი ხელით ფანჯრის ცხაურს ჩაეჭიდა, მეორე კი ბავშვს ჩაავლო. ამის შემდეგ მან გოგონა ქვევით მშვიდობიანად ჩამოიყვანა.




# ქალმა მოწყენილობისგან ლატარიის ბილეთი შეიძინა და გამდიდრდა

ამერიკის მერილენდის შტატის მკვიდრმა ქალმა მოწყენილობისგან გასათავისუფლებლად გადაწყვიტა, ლატარიის ბილეთი შეეძინა და შედეგად გამდიდრდა.

36 წლის ქალის თქმით, ის დროდადრო ლატარიის გათამაშებაში იღებს მონაწილეობას. ახლახან მან მოწყენილობის გასაფანტად მაღაზიაში ექვსი დოლარის ღირებულების ლატარიის ბილეთი შეიძინა. მის მიერ ჩაწერილი ცხრა ციფრიდან რვა გათამაშების შედეგს დაემთხვა.

შედეგად ამერიკელმა 25 ათასი დოლარი მოიგო. მას ჯერ არ გადაუწყვეტია, რაში დახარჯავს მოგებულ თანხას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## საზოგადოება

# გვანცა ჯობავა: „რა სამწუხაროა, გერქვას კულტურის სამინისტრო და, არათუ არ გიყვარდეს, არამედ გძულდეს კულტურა!"



ეს განცხადება საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა გააკეთა:

– ამ ამბავს საკმაოდ დიდხანს ვინახავდით გულში, მაგრამ, ვფიქრობ, რომ უკვე დადგა საჯაროდ საუბრის დროც. ვისაც ქართული კულტურის ბედი გაწუხებთ, ეს განცხადება თქვენთვისაა.

მაგრამ, მოდი, თავდაპირველად კარგი ამბით დავიწყებ. საფესტივალო დღის ბოლოს, თამამად გეტყვით, რომ პანდემიის შემდეგ თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი არნახული მასშტაბით დაუბრუნდა თავის მკითხველს. ფესტივალის პირველ დღეს არც ერთი წუთით არ შეწყვეტილა ექსპო ჯორჯიას პავილიონებისკენ მომავალი ადამიანების უდიდესი ტალღა, ათასობით ადამიანი ესტუმრა მე-5, მე-6 და მე-11 პავილიონებს, უამრავმა ადამიანმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე სწორედ ჩვენთან, წიგნის ფესტივალზე, ამ ქალაქისთვის ასე საყვარელ, თავისუფლების კუნძულზე აღნიშნა. ჩვენ გვყავს უამრავი მეგობარი, უამრავი გულშემატკივარი, ათიათასობით მკითხველი და ძალიან მდიდრები და ძლიერები ვართ მათი სიყვარულით. მაგრამ...

მაგრამ წელს პირველად, დაახლოებით 12-წლიანი (მეტი თუ არა), თანამშრომლობის შემდეგ ჩვენი მხარდამჭერების რიგებში აღარ არის საქართველოს კულტურის სამინისტრო და, რა თქმა უნდა, სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ეს ქალბატონი მინისტრის, თეა წულუკიანის პერსონალური გადაწყვეტილებაა. აღარ არის არა იმიტომ, რომ სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში ვერ გავიმარჯვეთ, არამედ იმიტომ, რომ სამინისტროს გადაწყვეტილებით, ლიტერატურა ფესტივალებს საერთოდ არ საჭიროებს. გაგიკვირდებათ და სფერო, რომელმაც საერთაშორისო ასპარეზზე, ფრანკფურტის ფესტივალზე ყველაზე წარმატებული მონაწილეობით ლამის მთელ მსოფლიოს დაამახსოვრა თავი, არ აღმოჩნდა სამინისტროს მიერ გამოცხადებული საერთაშორისო ფესტივალების კონკურსის ჩამონათვალში, იქ იყო ყველაფერი – კინო, მუსიკა, ბალეტი, ოპერა და სხვა, მაგრამ არა ლიტერატურა. ჰოი, საოცრებავ!

შესაბამისად, განმარტებაც არ აღმოჩნდა საჭირო, რატომ და რისთვის ჰკრა წიხლი კულტურის სამინისტრომ ამდენწლიანი თანამშრომლობის შემდეგ მთელი ქალაქისთვის საყვარელ ფესტივალს.

ცხადია, ეს უკვე აღარ არის კარგი ამბავი. ეს ცუდი ამბავია, იმიტომ, რომ ფინანსური პრობლემების გამო საგამომცემლო სექტორს, ლიტერატურის სფეროს, ათიათასობით მკითხველსა და ჩვენს ქალაქს შეიძლებოდა 23-წლიანი ისტორიის შემდეგ მისთვის ასე საყვარელი წიგნის ფესტივალი, უბრალოდ, დაეკარგა და, ვფიქრობ, სწორედ ეს იყო მიზნადაც დასახული – დაგვეტოვებინეთ იმ ფესტივალის გარეშე, რომელიც ყველასია, სადაც ყველას ხმა ისმის, განურჩევლად ასაკისა, გემოვნებისა, მრწამსისა, საერთოდ ყველაფრის განურჩევლად, ამიტომ იშვიათად იპოვით მწერალს, ლიტერატორს, გამომცემელს, რომელიც ერთხელ მაინც არ ასულა ჩვენი ფესტივალის სცენაზე, ერთხელ მაინც არ მოსულა ჩვენთან და ძალიან დიდი სიყვარული არ მიუღია.

მაგრამ არა, ამ ამბავს არ აქვს ცუდი დასასრული, იმიტომ, რომ ჩვენს გუნდში მუშაობენ თავიანთი საქმის პროფესიონალები და ჯადოქრებიც, რომელთაც სასწაულების მოხდენა შეუძლიათ, იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან ბევრი მეგობარი და გულშემატკივარი გვყავს და მზად ვართ, უფრო მეტი დავიმეგობროთ, ამიტომ, არათუ გადავრჩით, არამედ ჩვენს მკითხველს წლის ყველაზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენასა და უდიდეს დღესასწაულს ვჩუქნით!

გარდა წიგნის ფესტივალისა, ლიტერატურული პრემია „ლიტერასი", ნგრევა და მე დღეს არსებულ სიტუაციას სხვას ვერაფერს დავარქმევ, გარდა ნგრევისა, დაიწყო უფრო ადრეც, როდესაც ასევე 10-წლიანი თანამშრომლობის შემდეგ კულტურის სამინისტრომ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უარი გვითხრა იმ ერთადერთ პროექტზეც, რომელიც წელიწადში ერთხელ საქართველოს 65 მთავარ ბიბლიოთეკას დაახლოებით 900-900 ლარის ღირებულების სრულიად ახალი წიგნებით ამარაგებდა. აგერ უკვე მეორე წელია, ბიბლიოთეკარები ამაოდ ელიან, რომ ისევ დავუძახებთ და ისევ გადავცემთ ვაუჩერებს ახალი წიგნების შესაძენად. სამწუხაროდ, არა, იმიტომ, რომ კულტურის სამინისტროს ბიბლიოთეკების ბედი აღარ აინტერესებს, იმიტომ, რომ მთავარია პირადი ინტერესები, მთავარია, ვინ ჩვენიანია და ვინ სხვისიანი ან არავისიანი, შესაბამისად – არასაჭირო. დიახ, ჩვენ შევძელით და ამ გასაჭირმა გაგვაძლიერა, მაგრამ, რა სამარცხვინოა, ასე ხელაღებით ანგრევდე ყველაფერ ფასეულს, რაც ქართულ კულტურაში სამი ათეული წელია, უამრავი გაჭირვების, დაბრკოლების მიუხედავად, ასე რუდუნებით იქმნებოდა. რა სამარცხვინოა, ებრძოდე თავისი საქმის პროფესიონალებს, ებრძოდე ყველაზე არასამართლიანი მეთოდებით. რა სამწუხაროა, გერქვას კულტურის სამინისტრო და, არათუ არ გიყვარდეს, არამედ გძულდეს კულტურა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## სპორტი

# შენგელია იგებს, შერმადინი აგებს



ქართველი ლეგიონერი კალათბურთელებიდან ევროპულ ასპარეზზე ორი მათგანი შემორჩა.

იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალში თორნიკე შენგელიას ბოლონიამ ტორტონას უმასპინძლა და 77:73 გაიმარჯვა. ეს გახლდათ სერიის პირველი მატჩი, რომლის მოგებაც ვირტუსელებს ძალიან გაუჭირდათ. თუმცა, ქართველი გულშემატკივრებისთვის მთავარი ის არის, რომ 15 მაისს მიღებული ტრავმის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა შენგელია.

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა იტალიის პირველობის მეოთხედფინალში კოჭი იტკინა და 2 კვირა გამოტოვა, ნახევარფინალში კი სრულიად ჯანმრთელი დაბრუნდა და გამარჯვებაშიც წვლილი შეიტანა. ტორტონასთან მისი სტატისტიკა ასეთი იყო: 26 წუთი, 11 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი.

ვირტუსის მეტოქემ მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა და გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყო. წუთ-ნახევრით ადრე ტორტონა 3 ქულით იგებდა, მაგრამ მე-4 პერიოდში შეუჩერებელი იყო გამოცდილი მარკო ბელინელი, რომელმაც ბოლო ათწუთეულში 19 ქულა ჩააგდო და თამაშის შემოტრიალებაში დიდი წვლილი შეიტანა. საბოლოოდ მარკომ 25 ქულა მოაგროვა.

სერია 3 მოგებამდე გაგრძელდება.

ესპანეთის ჩემპიონატის ფლეი ოფი კი გიორგი შერმადინის ტენერიფესთვის არასასურველი სცენარით დაიწყო. კუნძულელებმა ბადალონაში ხუვენტუდთან 68:100 დათმეს. ერთია, ანგარიშში სხვაობა გადამწყვეტი არ არის, რადგან სერია 2 მოგებამდეა და ტენერიფეს სიტუაციის გამოსწორების შანსი საკუთარ მოედანზე ექნება, თუმცა, საშინაო გამარჯვების შემთხვევაში, გადამწყვეტ შეხვედრას სტუმრად გამართავს. ბადალონაში შერმადინმა 17 წუთი ითამაშა, 7 ქულა და 5 მოხსნა დააგროვა. გიორგი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა. მან 4-დან 2 ორქულიანი და 4-დან სამი საჯარიმო გამოიყენა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## კალეიდოსკოპი

# მამაკაცმა 95 წლის ასაკში პირველად იქორწინა



ბრიტანეთის ქალაქ კარდიფის მკვიდრმა მამაკაცმა 95 წლის ასაკში იქორწინა და მისი რჩეული 84 წლის ქალი გახდა.

ჯულიან მოილიმ, რომელიც ამჟამად 95 წლისაა და 84 წლის ვალერი უილიამსმა ერთმანეთი 23 წლის წინ გაიცნეს კარდიფის ბაპტისტურ ეკლესიაში, ახლახან კი სწორედ ამავე ეკლესიაში გადაიხადეს ქორწილი. მამაკაცმა ქალს ხელი რამდენიმე თვის წინ სთხოვა.

საქორწინო ცერემონიას წყვილის 40-მდე ნათესავი და მეგობარი ესწრებოდა. საზეიმო ღონისძიებაზე გამოვიდა ოპერის მომღერალი, რადგანაც სიძე ოდესღაც თავადაც გამოდიოდა ოპერის სცენაზე. მოილი წარმოშობით ავსტრალიიდანაა და ბრიტანეთში 1954 წელს გადმოსახლდა. 1970 წლიდან 1982 წლამდე ის სოლოპარტიებს ასრულებდა უელსის ეროვნულ ოპერაში. მისი რჩეული კი კარდიფში დაიბადა და გაიზარდა.

– ეს ჯერ კიდევ ვერ დამიჯერებია, – განაცხადა უილიამსმა ამდენი წლის ნაცნობობის შემდეგ დაქორწინების ფაქტის კომენტირებისას. წყვილი თაფლობის თვის გატარებას მოილის სამშობლოში აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


# განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# უქულო ლოკომოტივი და ჩხეტიანის მესამედ მისვლა

**დილა-ლოკომოტივი 4:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1 ჭიაბრიშვილი (28), 1:1 ღუდუშაური (39), 2:1, 3:1, 4:1 გონსალვესი (47, 53, 77)

მე-18 წუთზე კაპანაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (აცილა)

**დილა:** კანევცევი, ჩიტეიშვილი (გ.გაფრინდაშვილი 81), სანტოსი, მოსიაშვილი (ტავარეში 81), ღუდუშაური (მადინგა 71), თ.კაპანაძე (მაქაცარია 71), ნონდი, გომისი (ივანიაძე 63), გონსალვესი, ძოწენიძე, სილვა

**ლოკომოტივი:** ლომიძე, ანდრონიკაშვილი, სამურკასოვი (კიკნაძე 80), შეყილაძე, დარცმელია, ომარაშვილი (მუკბანიანი 57), ჭიაბრიშვილი, ძებნიაური (გ.ხუციშვილი 80), ხარაიშვილი (გიორგაძე 63), ზოსიაშვილი (ჯაფარიძე 57), ქველაძე

ძალიან ცუდ დღეშია ლოკომოტივი. თბილისური გუნდი 16 ტურში უქულოდ არის. ლოკომ მორიგი მარცხი გორში დილასთან განიცადა – 1:4.

არადა, თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ – თორნიკე ძოწენიძის შეცდომას ჭიაბრიშვილის გოლი მოჰყვა. თუმცა, ლოკომოტივის მაქსიმუმი ეს გამოდგა, შემდეგ დილამ 4 გოლი გაუტანა. თუმცა, მანამდეც შეეძლო, სანამ ლოკომოტივი ანგარიშს გახსნიდა, მაგრამ თორნიკე კაპანაძემ პენალტი ვერ გაიტანა.

გორელებმა პაატა ღუდუშაურის გოლით გაათანაბრეს. ეს პირველივე ტაიმში მოხდა, ხოლო შესვენების შემდეგ ვაგნერ გონსალვესმა გაილაღა და ჰეთ თრიკი შეასრულა.

გონსალვესს უკვე 7 გოლი დაუგროვდა და ბომბარდირთა დავაში ჩაერთო.

დილა მეოთხე ადგილზე დარჩა და ლიდერ ბათუმის დინამოს 6 ქულით ჩამორჩება, ხოლო უქულო ლოკომოტივი...

**სიონი-საბურთალო 1:0**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

1:0 ლ.ხორხელი (77)

**სიონი:** ისიანი, გადრანი, კილასონია, ლ.ხორხელი (ლ.უგრეხელიძე 90), ნ.ხორხელი (ჩაგანავა 89), კობერიძე (ჯაფიაშვილი 46), კორიფაძე, ფოცხვერია, ჩუკვურა, ნემსაძე, დუმბია

**საბურთალო:** მეგრელიშვილი, ლაცაბიძე (ქავთარაძე 84), ჯგერენაია, ქარდავა, გულიაშვილი (გ.მამაგეიშვილი 84), ლ.ნონიკაშვილი, კაკუბავა, სიხარულიძე, გოჩოლეიშვილი, ჩადუნელი (ი.ტაბატაძე 73), მიოჩი (შ.ნონიკაშვილი 73)

ბოლნისის სიონმა ზედიზედ მე-2 მატჩი მოიგო და სატურნირო მდგომარეობა გამოიკეთა. თუმცა, გუნდი ჯერ კიდევ საფრთხის ზონაშია და მშვიდად ყოფნის უფლება არ აქვს. სიონმა ამჯერად საბურთალოს მოუგო – 1:0.

თავის მხრივ, ზედიზედ მე-4 თამაში ვერ მოიგო საბურთალომ და საპრიზო ადგილს გვარიანად დაშორდა.

ერთადერთი გოლი ლუკა ხორხელმა გაიტანა, რომელსაც ასისტენტობა ძმამ, ნიკამ გაუწია. საერთოდ, ძმები ხორხელები ამ სეზონის აღმოჩენად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ორივე მათგანი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული.

**ტორპედო-გაგრა 1:0**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

1:0 ვაწაძე (90)

**ტორპედო:** კვასხვაძე, მირცხულავა, აბულაძე, ცინცაძე (ვაჩიბერაძე 71), გ.კუხიანიძე, მჭედლიძე (არველაძე 64), პაპუნაშვილი (არაბიძე 64), შულაია, მანჯგალაძე, ქიმაძე, გოგლიჩიძე

**გაგრა:** ბ.ქურდაძე, ხოსიტაშვილი, კვირკველია, ჭანტურია, შონია, სულთანიშვილი (ვეკუა 90), ჩოგაძე (ხაბელაშვილი 66), ქობულაძე, შეწირული, ვაწაძე, კვირკვია (ფარულავა 90)

ქუთაისის ტორპედომ უშუალო კონკურენტ გაგრას 1:0 მოუგო და გასავარდნ ზონაში ადგილი გაუცვალა.

ერთადერთი გოლი მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის მე-3 წუთზე გავიდა: ბექა ვაჩიბერაძემ საჯარიმო ჩააწოდა, სადაც გაგრას თავდამსხმელმა მათე ვაწაძემ ავტოგოლი გაიტანა – ბურთი ცუდად აეჭრა ფეხიდან...

აღსანიშნავია, რომ ტორპედოში „დებიუტი" ჰქონდა მესამედ მიბრუნებულ კახა ჩხეტიანს და მორიგი მისვლა წარმატებულიც გამოუვიდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 16 | 10 | 5 | 1 | 41-13 | 35 |
| 2.დინამო (თბ) | 16 | 9 | 5 | 2 | 27-13 | 32 |
| 3.სამგურალი | 16 | 8 | 6 | 2 | 26-13 | 30 |
| 4.დილა | 16 | 9 | 2 | 5 | 21-13 | 29 |
| 5.საბურთალო | 16 | 6 | 5 | 5 | 19-16 | 23 |
| 6.თელავი | 16 | 5 | 5 | 6 | 19-16 | 20 |
| 7.ტორპედო | 16 | 5 | 3 | 8 | 13-24 | 18 |
| 8.გაგრა | 16 | 5 | 2 | 9 | 18-26 | 17 |
| 9.სიონი | 16 | 4 | 5 | 7 | 17-29 | 17 |
| 10.ლოკომოტივი | 16 | 0 | 0 | 16 | 12-50 | 0 |

# ქუთაისი სუპერლიგის ჩემპიონია



საკალათბურთო კლუბი ქუთაისი საქართველოს ჩემპიონია! კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა იმერულმა კლუბმა ფინალური სერია დამაჯერებლად – 3:0 მოუგო ოლიმპს და სუპერლიგის გამარჯვებული გახდა.

2 საშინაო მოგების შემდეგ ქუთაისმა ფინალური სერიის მე-3 შეხვედრა თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გამართა და დაძაბული მატჩის ბოლოს მოახერხა დავით როგავას გაწვრთნილი ოლიმპელების გატეხა – 73:65.

ბოლო წუთზე შეხვედრამ ინტრიგა დაკარგა. მანამდე კი, უმეტესწილად, თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. ოლიმპმა, რომელსაც დასაკარგი არაფერი ჰქონდა, შეხვედრა მძლავრად დაიწყო და დებიუტში 10 ქულითაც დაწინაურდა (26:16), მაგრამ საწყისი მუხტი როგავას გუნდს დიდ შესვენებამდე არ მიჰყვა. ქუთაისელებმა დაცვისა და სწრაფი შეტევების ხარჯზე ჩამორჩენის გაბათილება იწყეს და პირველი ტაიმის ბოლოს სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს – 37:38.

მესამე პერიოდიდან ქუთაისელებმა ლიდერობა მოიპოვეს, რაც, ერთი მხრივ, მათი კარგი დაცვის, მეორე მხრივ კი ოლიმპის წამყვანი კალათბურთელების შეცდომების ბრალი იყო. ილია ლონდარიძეს თამაში არ წაუვიდა, ვერც კახა ჯინჭარაძე იყო ჩვეულ ფორმაში და ყველაზე გადამწყვეტ მომენტში ქუთაისელებმა თავისი გაიტანეს. ადრიან ბოუიმ უმნიშვნელოვანესი ბურთები – ჯერ ორქულიანი, შემდეგ სამიანი ჩააგდო და ბოლო პერიოდში თანაბრად მიმდინარე ანგარიში იმერული კლუბის სასარგებლოდ შეცვალა. როგორც ვთქვით, ბოლო წუთზე ქუთაისელთა ლიდერობამ 8 ქულას მიაღწია და ჩემპიონიც გამოვლინდა.

ქუთაისელებმა არსებობის ისტორიაში მეორედ მოიგეს საქართველოს ჩემპიონობა. პირველად ეს კოტე ტუღუშის თაოსნობით ქუთაისმა 2015 წელს მოახერხა.

ქუთაისელებს 23 ქულითა და 6 ჩაჭრით ადრიან ბოუიმ ულიდერა. 17 ქულა და 11 მოხსნა გიორგი კორსანტიას ანგარიშზეა. ოლიმპში 30 ქულით საუკეთესო იყო ედვარდ ეკიორი. 12 ქულა ლუკა კალატოზიშვილმა, 10 კი კახა ჯინჭარაძემ მიითვალეს.

მატჩის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. საკალათბურთო კლუბ ოლიმპის წევრები ვერცხლის მედლებით დააჯილდოვეს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე პაატა გურასპაულმა და ფედერაციის პრეზიდენტმა ვიქტორ სანიკიძემ. მათვე ოქროს მედლები გადასცეს სუპერლიგის 2021-2022 წლების ჩემპიონ ქუთაისის წევრებს.

საჩემპიონო თასი კი ქუთაისის კაპიტანს გიორგი ბარბაქაძეს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ვიქტორ სანიკიძემ გადასცა.

**საუკეთესო მწვრთნელი**

2021-22 წლების სეზონის სუპერლიგის საუკეთესო მწვრთნელი ქუთაისის თავკაცი კოტე ტუღუში გახდა. ტუღუშს ცნობილი ქართველი მწვრთნელის, გიორგი ავალიშვილის სახელობის თასი საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ილიას ზუროსმა გადასცა. ზუროსი თბილისში 2 დღით, ფინალურ მატჩზე დასასწრებად და ეროვნული ნაკრების წევრებთან და კანდიდატებთან შესახვედრად ჩამოვიდა.

**საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე**

2021-22 წლების სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშის პრიზი ტრაგიკულად დაღუპული კალათბურთელის – ზვიად მიქაძის სახელობისაა. მისი მფლობელი საკალათბურთო კლუბ ბათუმის წევრი გიორგი ოჩხიკიძე გახდა. გიორგი ოჩხიკიძეს ჯილდო ზვიად მიქაძის შვილებმა – სალომე და იოანა მიქაძეებმა გადასცეს.

ოჩხიკიძე მარტო ამ პრიზს არ დასჯერდა და სეზონის გამორჩეული ახალგაზრდა კალათბურთელიც გახდა. ეს პრიზი ცნობილი ქართველი კალათბურთელის, გელა დარსაძის სახელობისაა. ოჩხიკიძეს პრიზი გელა დარსაძის მეუღლემ, ქალბატონმა ნინო ადამიამ გადასცა.

**სეზონის საუკეთესო მოთამაშე – მვპ**

სუპერლიგის სეზონის საუკეთესო მოთამაშე, ტრადიციულად, გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომელშიც ჟურნალისტები, სუპერლიგის მწვრთნელები და კომისრები მონაწილეობდნენ. სეზონის მვპ ოლიმპის კალათბურთელი კახა ჯინჭარაძე გახდა, რომელიც პაატა გურასპაულმა დააჯილდოვა.

# სამეფო კლუბი მეფობას არ თმობს

**ლივერპული-რეალი 0:1**

**პარიზი. სტად დე ფრანსი**

0:1 ვინისიუსი (59)

**ლივერპული:** ალისონი; ალექსანდერ-არნოლდი, კონატე, ვან დაიკი, რობერტსონი; ფაბინიო, ტიაგო ალკანტარა (ფირმინო 77), ჰენდერსონი (კეიტა 77); სალაჰი, მანე, დიაში (ჟოტა 65)

**რეალი:** კურტუა; კარვახალი, მილიტაო, ალაბა, მენდი; კაზემირო, მოდრიჩი (სებალიოსი 90), კროოსი; ვალვერდე (კამავინგა 86), ბენზემა, ვინისიუსი (როდრიგო 90)

ევროპის საუკეთესო გუნდი ისევ რეალია. მადრიდულმა კლუბმა ამ ტიტულის მოპოვება მეთოთხმეტედ მოახერხა და ახლა მეორე ადგილზე მყოფ მილანს ზუსტად ორჯერ უგებს.

რეალმა კი მეორედ მოუგო ფინალი ლივერპულს და იურგენ კლოპი მეორედ დაამწუხრა. თუ 2018 წელს რეალი სჯობდა ლივერპულს, ამჯერად მათ სასარგებლოდ მხოლოდ ტაბლო იყო. თუმცა, ტაბლო ყველაზე მნიშვნელოვანია. უტევდა ერთი გუნდი, გოლი მეორემ გაიტანა. მერსისაიდელებმა ბევრი მომენტი შექმნეს, მარტო კარში დარტყმების სტატისტიკა იყო 9:1. კურტუამ ყველაფერი აიღო, რეალმა კი ერთადერთი დარტყმა შეაგდო – ვინისიუსმა კარგად ჩაკეტა ვალვერდეს გამჭოლი პასი და რეალმა თასიც ჩაიხუტა.

რეალმა პირველ ტაიმშიც გაიტანა, მაგრამ ბენზემას არ ჩაუთვალეს. თამაშგარე მდგომარეობა ნამდვილად იყო, მაგრამ კამათი ატყდა, რომ ბენზემას ბურთი ლივერპულის მცველისგან მიუვიდა. ასეა თუ ისე, გოლი არ ჩაითვალა.

ბევრი ამბობს, რომ რეალს გაუმართლა. თუმცა, რთული სალაპარაკოა გამართლებაზე, როდესაც გუნდმა საჩემპიონო გზაზე საფრანგეთის ვადამდელი ჩემპიონი პსჟ და ინგლისის პრემიერლიგის პირველ (სიტი), მეორე (ლივერპული) და (ჩელსი) მესამეადგილოსანი გუნდები ჩამოიშორა.




კარლო ანჩელოტიზე კი რა უნდა ვთქვათ – იტალიელი სპეციალისტი პირველია, რომელმაც მთავარი მწვრთნელის ამპლუაში ჩემპიონთა ლიგა 4-ჯერ მოიგო. „პაპა კარლომ" ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი ორჯერ მილანსა (2002-03, 2006-07) და ორჯერ მადრიდის რეალს (2013-14, 2021-22) მოაგებინა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ტიბო კურტუა**

ამ მატჩს ალბათ ერთი გმირი ჰყავდა და ეს რეალის ბელგიელი მეკარეა. კურტუამ აიღო ყველაფერი, რაც დაურტყეს. ტიბომ განსაკუთრებით მო სალაჰი გაამწარა, რომელსაც 7 ბურთი აუღო.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მელღება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად".

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# სამგლოვიარო განცხადებები

თსსუ აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაუგრძნობენ ეკა შონიას მეუღლის

**ლევან რუხაიას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სახელმწიფო გადატრიალება; 2. პოემა „სტუმარ-მასპინძლის" პერსონაჟი; 3. ამერიკელ მწერალ ო'ჰენრის ნამდვილი გვარი; 4. ციხე-სიმაგრე ძველ თბილისში; 5. კუთხე საქართველოში; 6. სამეფო კვერთხი; 9. მდინარე რიონის მარჯვენა შენაკადი; 10. ერთკუზიანი აქლემი; 11. ლიგურიის ზღვისპირა პოპულარული კურორტი იტალიაში; 14. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 16. დამარილებული ღორის ქონი; 18. ქსოვილების დამამზადებელი ოსტატი; 20. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 23. ქალაქი შიდა ქართლში; 24. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 25. იაპონიაში ყველაზე დიდი ოსაკას აეროპორტი; 26. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი.

**თარაზულად:** 7. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 8. უბანი თბილისში; 12. ხშირი, დაბურული ტყე; 13. შავი ზღვის ძველი ბერძნული სახელწოდება; 15. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 17. სასტუმრო „თბილისი-მარიოტის" ძველი სახელწოდება; 19. საჭმელი სოკო; 21. მდინარე პოლონეთში; 22. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 27. თანაფარდობა ნაწილებს შორის; 28. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ალებასტრი; 2. ბენზინი; 3. ტიროლი; 4. აქატი; 5. გრინგო; 11. სალაჰი; 12. ყატარი; 14. გომი; 16. ლაქტონზა; 17. სარბაზნი; 19. ეგრისგე; 21. ბრომი; 22. ატამი.

**თარაზულად:** 6. კარინტები; 7. ლიტრიგო; 8. ტყვენი; 9. ჰამაში; 10. ლარსი; 13. დრაგი; 15. ალადასტური; 18. მიკრონი; 20. აისი; 21. ბოსნია; 23. კატამარანი; 24. ზარზმა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კაზმი; 2. ლუვრი; 3. სუფრული; 4. კაფე; 5. არქი; 6. კლიენტი; 9. დისიმილაცია; 10. პროვიზორი; 11. ბრუქსიზმი; 14. ნავთი; 16. კლიპი; 18. კეპლერი; 20. ლაგანი; 23. რენი; 24. კრიფი; 25. პერიე; 26. ჟიგა.

**თარაზულად:** 7. ტუფტაზნზა; 8. კვირინალე; 12. ლუარა; 13. ირანი; 15. ელისო; 17. ვანკუვერი; 19. ხრამი; 21. ოპერა; 22. ომეგა; 27. პრეფექცია; 28. დრაგომანი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


30 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8657

ევრო — 3.0689

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.6108

100 რუსული რუბლი — 4.3259

## ამინდის პროგნოზი 30 მაისისათვის




## კარლო ანჩელოტი: „ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობ“



მადრიდის რეალმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში ლივერპული დაამარცხა და ეს ტურნირი მე-14-ედ მოიგო, რაც, ბუნებრივია, ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელია.

მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ თავისი ფეხბურთელების მიმართ ქება არ დაიშურა და თქვა, რომ ის ყველა მათგანით ძალიან ამაყობს:

— ეს გამარჯვება ჩვენ ყველამ ერთად მოვიპოვეთ და მთელი ტურნირის განმავლობაში მშვენიერი თამაში ვაჩვენეთ. არ ვთვლი, რომ გაგვიმართლა, რადგან ფინალში მხოლოდ უძლიერესი გუნდი იმარჯვებს. მიხარია, რომ გულშემატკივარი ისევ გავახარეთ, რადგან ჩვენ მათთვის ვთამაშობთ.

## იურგენ კლოპი: „გამარჯვების მოსაპოვებლად ყველაფერი გავაკეთეთ“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა წაგებულ ფინალზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან იღბალი მათ მხარეს არ იყო:

— ფინალში ყოველთვის რთულია მოგება, განსაკუთრებით, როდესაც რეალის დონის გუნდს ეთამაშები. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

## რობერტ ლევანდოვსკის მხოლოდ ბარსელონაში თამაში სურს

მიუნხენის ბაიერნის პოლონელ ფორვარდ რობერტ ლევანდოვსკის ბარსელონის გარდა არც ერთ გუნდში გადასვლა არ სურს და მან ამის შესახებ თავისი აგენტიც გააფრთხილა. ლევანდოვსკის ტრანსფერი ბარსელონაში გაჭიანურდა, რადგან ბაიერნი 50 მილიონს ითხოვს, ბარსელონას კი ამ თანხის გადახდა არ სურს.

მიუხედავად ამისა, მხარეებს შორის მოლაპარაკებები გრძელდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## 19 წლის ყმაწვილმა 76 წლის ქალს ხელი სთხოვა



იტალიელმა 19 წლის ჯუზეპე დ,ანნამ აღიარა, რომ ძლიერ გრძნობებს ჰყავს შეპყრობილი თავისი 76 წლის შეყვარებულის მიმართ და მას ხელიც კი სთხოვა.

ჯუზეპე დ,ანნამ ტიკტოკში განათავსა ვიდეო, რომელშიც ის მუხლმოყრილი დგას თავისი შეყვარებულის წინ და კოცნის მას. ამ დროს ქალს ხელში უჭირავს გულის ფორმის საჰაერო ბუშტები. ვიდეოსთვის თანდართულ კომენტარში ნათქვამია, რომ მან შეყვარებულს ცოლობა სთხოვა. ყმაწვილმა ნიშნობის ბეჭდის ფოტოსურათიც გამოაქვეყნა.

ტიკტოკის მომხმარებელთა დიდმა უმრავლესობამ ყმაწვილს ასეთი დიდი ასაკობრივი სხვაობის ქალთან ოჯახის შექმნის სურვილი არ მოუწონა და გააკრიტიკა. ნაწილმა ეს ყოველივე ხუმრობად ჩათვალა და სურათზე აღბეჭდილი ქალი, ყმაწვილის ბებიად მიიჩნია. თუმცა თავად ჯუზეპე დ,ანნამ ეს ყოველივე უარყო და დაადასტურა, რომ ნამდვილად შეყვარებულია 76 წლის ქალზე და ისინი ნამდვილად აპირებენ დაქორწინებას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 30 მაისისათვის

**ვერძი** — თავი შეიკავეთ საქმიანი მოლაპარაკებებისაგან. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** — სასიცოცხლო პოტენციალი უმაღლეს დონეზეა. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი. **ტყუპები** — დაძაბული დღეა. იფრთხილეთ ყველგან. ერიდეთ კამათს. **კირჩხიბი** — ხელმძღვანელ პირებთან, საჯარო მოხელეებთან ურთიერთობისათვის შესაფერისი დღეა. ყოველგვარ წინააღმდეგობას დაძლევთ. **ლომი** — კეთილისმყოფელი დღეა. ფინანსურად ძლიერდებით და ყველაფერი იოლად გამოგდით. **ქალწული** — სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **სასწორი** — მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **მორიელი** [sic: printed **ღრიანკალი**] — ნებისმიერი კომერციული ოპერაცია სასიკეთოდ დასრულდება. გელით მატერიალური კეთილდღეობა. **მშვილდოსანი** — მოსალოდნელია კარიერული წინსვლა. საქმე მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით აკეთეთ. **თხის რქა** — სისულელეებზე არ იფიქროთ და, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სწორი დასკვნები გააკეთეთ. **მერწყული** — სამომავლო გეგმებში კორექტივები შეგაქვთ. შესაძლოა, ახალი, საინტერესო სამსახურიც იშოვოთ. **თევზები** — კრიტიკული დღეა. სიფრთხილე გამოიჩინეთ პარტნიორთან ურთიერთობისას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

— გატყობ, ინტერნეტში ჩაერთე!

— როგორ გაიგე?

— შენი თვალებით.

— რა, უფრო ჭკვიანური გამიხდა?

— არა, ჩაწითლებული...

●●●

დირექტორი მოსწავლეებს მათ ახალ მასწავლებელს წარუდგენს:

— აი ბავშვებო, გაიცანით, დღეიდან ეს თქვენი ახალი მასწავლებელი იქნება და იმედი მაქვს, მოგეწონებათ.

— ფიგურას არა უშავს, — ჩაილაპარაკა გიგიმ.

— მე თვითონ შევარჩიე! — უპასუხა დირექტორმა.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

— იცი, კამასუტრა თავიდან ბოლომდე წავიკითხე...

— მერე?

— ვიტირე...

— რატომ?

— რა და მაინც არ დაქორწინდნენ..

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

— ძვირფასო, მიპასუხე, როგორ ქალებს ანიჭებ უპირატესობას: ჭკვიანს თუ ლამაზს?

— არც ერთს და არც მეორეს! ხომ იცი, რომ მხოლოდ შენ მიყვარხარ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## უნიტაზში ჩამალულმა პითონმა მამაკაცს დუნდულაზე უკბინა



მალაიზიის ქალაქ სელაიანგში უნიტაზში ჩამალულმა პითონმა მამაკაცს, რომელიც მობილურ ტელეფონზე თამაშით ერთობოდა, დუნდულაზე უკბინა.

28 წლის საბრი ტაზალი ტელეფონში ჩატვირთული თამაშით ერთობოდა და მოულოდნელად კბენა იგრძნო.. ის ტკივილისგან შეხტა და აღმოაჩინა, რომ მის დუნდულაზე გველი იყო ჩამოკონწიალებული. მამაკაცმა ქვეწარმავალი მოიშორა, კედელს მიანარცხა, ტუალეტის კარი გაამტვრია და გარეთ გამოვარდა. შემთხვევის ადგილზე მაშველები მივიდნენ. მათ ნახეს, რომ ქვეწარმავალი შხამიანი არ იყო. დაშავებულმა კი საავადმყოფოს მიმართა, სადაც ცოფის საწინააღმდეგო ნემსი გაუკეთეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პაატა გულიაშვილი ტელეკომპანია „ფორმულადან“ წავიდა



მსახიობმა და იუმორისტმა პაატა გულიაშვილმა ტელეკომპანია „ფორმულა“ დატოვა. როგორც მან განაცხადა, გადაწყვეტილება თავად მიიღო:

— მათ არ გავუთავისუფლებივარ, მე წამოვედი.

ძალიან დიდი მადლობა კომედი ჯგუფის ბიჭებს, საქმის გამკეთებლებსა და ნიჭიერ ხალხს. არ ღირს, ჩემ გამო ვინმემ უხერხულად იგრძნოს თავი. მე წავედი!

პ.ს. რაც შეეხება ერეკლე მეფეს, მასზე ცუდის მთქმელის მაგინებელი ვიყავი, ვარ და ვიქნები!

## ეკა ამირეჯიბი ახალი გადაცემის წამყვანია



ტელეკომპანია „იმედის“ სახე ეკა ამირეჯიბი ახალი გადაცემის წამყვანი გახდა. „მთავარ როლში“ – ასე ჰქვია პროექტს, რომლის სტუმრები ყველასთვის ცნობილი და საყვარელი ადამიანები იქნებიან.

როგორც წამყვანი ამბობს, ეს იქნება ყველასგან გამორჩეული გადაცემა თავისი საინტერესო სტუმრებითა და ორიგინალური და უცნობი ისტორიებით.

პირველი გადაცემის სტუმრად რეჟისორი ლევან წულაძე შეირჩა.

## „სამზარეულოს ომები“ გურულებმა მოიგეს



ტელეკომპანია „ფორმულას“ კულინარიული შოუს, „სამზარეულოს ომების“, მორიგი სეზონის გამარჯვებულები გურულები გახდნენ.

შოუს შეფების გადაწყვეტილებით, მონაწილეთა შორის საუკეთესოები დამიანე და მარიამი აღმოჩნდნენ.

„სამზარეულოს ომების“ ჟიურიმ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი კონკურსანტების მიერ მომზადებული კერძები მაქსიმალურად ზედმიწევნით დააგემოვნა, არც შექება დაიშურა, არც კრიტიკა და საბოლოოდ გამარჯვებულის ტიტული გურულებს – დამიანესა და მარიამს მიანიჭა.

## ტერენტი გრანელის ბიუსტი პოეტის სახლ-მუზეუმს გადაეცა



საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს კვირკველიების საგვარეულო კავშირმა პოეტ ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმს საჩუქრად გადასცა ტერენტი გრანელის ბიუსტი.

ნამუშევრის ავტორი ნოდარ კვირკველიაა. ბიუსტს ამშვენებს წარწერა: „ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმს კვირკველიების საგვარეულო კავშირისგან“.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ტერენტი გრანელის დის შვილიშვილმა მამანტი როგავამ, პოეტის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ბროლისა ლუკავამ, წალენჯიხის ადგილობრივმა ხელისუფლებამ და რიგითმა წალენჯიხელებმა.

## ლევან ანჯაფარიძე მანდილოსნებს ბოდიშს უხდის



კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე მანდილოსნებს ბოდიშს უხდის:

– იმასაც მოვესწარით, რომ საქართველოში ქალებს დაცვა სჭირდებათ კაცებისაგან. ეს ადრეც ხდებოდა, მაგრამ ამ ჭირმა ისე იჩინა თავი, რომ აღარ იმალება.

რა უნდა ვთქვა?! მხოლოდ ერთი – ქალბატონებო, მანდილოსნებო, გოგონებო, დედიკოებო, დაიკოებო! დარწმუნებული ვარ, ახლა ჩემთან ერთად ყველა კაცი, მამაკაცი გიხდით ბოდიშს არაკაცების გამო. გვაპატიეთ, რომ თქვენ გვერდით არ აღმოვჩნდით, ვერ დაგიცავით ნაძირლებისაგან.

გულწრფელად განვიცდით და ბევრს გკოცნით მაგ ნატკენ გულში. გაიხარეთ! გვიყვარხართ!

## ნინო არაზაშვილმა ტელეეთერზე უარი თქვა



ტელეკომპანია „პირველის“ ერთ-ერთი გადაცემის, „პირველამდე“, წამყვანმა ნინო არაზაშვილმა ტელეეთერში გამოჩენაზე უარი თქვა და ამის საპატიო მიზეზიც აქვს:

– ეთერში დროებით ვერ ვმუშაობ იმიტომ, რომ ჯერ ბავშვი მყავდა ვირუსით და 4 ღამე სრულად გავათენეთ, ისე იხრჩობოდა. ამ ღამისთევისა და ნერვიულობისგან, ეტყობა, იმუნიტეტი დამიქვეითდა, მეც გადამედო და დამცა. მეორე დღეა, უკვე ხმაც წამერთვა ამდენი ხველებისგან. როგორც კი აღმიდგება, ალბათ ეს ერთკვირიანი ყელის ტკივილიც გაივლის ოდესმე და ისევ აქტიურად ჩავებმები სამუშაო პროცესში. მადლობა ყველას, ვინც ამ ერთი კვირის განმავლობაში მომიკითხეთ და ბოდიშს გიხდით, თუ ყველას ვერ გპასუხობდით. შევხვდებით მალე, რაღა თქმა უნდა, „პირველამდე“.

პ.ს. ბავშვი უკვე კარგადაა. არავითარი წამალი არ იყო ეფექტური, სანამ თავისი დრო არ მოჭამა ვირუსმა, აი არავითარი, არადა, ყველაფერი ვცადეთ, რაც კი შეიძლებოდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ღვინის დეგუსტატორის ძველი ქართული სახელწოდება; 2. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 3. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 4. მომღერალი, მუსიკოსი შუა აზიაში; 5. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 11. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 12. თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 14. ღვინის პატარა ქვევრი; 16. ჩანჩქერი კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 17. შინაგანი მისწრაფება, ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას; 19. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. აეროპორტი პეკინში; 22. ლუდის სასმელი ჭიქა.

**თარაზულად:** 6. წითელი ფერის იტალიური სადესერტო ღვინო; 7. ქართველ პოეტ ტერენტი კვირკველიას ფსევდონიმი; 8. მდინარე ბერლინში; 9. ტაივანის დედაქალაქი; 10. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 13. ძველებური უმარტივესი სანათი მოწყობილობა; 15. ძვირფასი ქვების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი ბელგიაში; 18. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის კინოპრიზი; 20. ისტორიული ციხე-კომპლექსი თუშეთში; 21. სომხური ცეკვა; 23. სახელმწიფო კავკასიაში; 24. მოძრავი სკამი ნიჩბოსნობაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

